პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 206 (12120) | შაბათი, 9 სექტემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

## გულითადი მილოცვა ბულგარელი მეგობრებისადმი

მოსკოვი, 8 სექტემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის გამო მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ტოდორ ჟივკოვს, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დიმიტრ განევსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ანტონ იუგოვს.

დეპეშაში ხაზგასმულია, რომ ორივე ქვეყნის ხალხებისა და კომპარტიების ძმური მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, ყველა საერთაშორისო საკითხში მათი შეხედულებებისა და მოქმედების სრული ერთიანობა დღითიდღე ვითარდება და მტკიცდება მშვიდობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის ინტერესებისათვის. საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია შემდეგ, დიდად აფასებენ ბულგარეთის დაუცხრომელ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ბალკანეთის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის ყოველმხრივ განვითარება, მშვიდობის ზონის შექმნა ბალკანეთის ნახევარკუნძულის რაიონში.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი ახალ თვალსაჩინო მიღწევებს უსურვებენ ბულგარელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობაში.

• • •

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს კარლო ლუკანოვს.

• • •

მოსკოვი, 8 სექტემბერი. (საკდესი). საკავშირო პროფსაბჭომ საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების სახელით მხურვალე ძმური სალამი და გულითადი მილოცვა გაუგზავნა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებსა და პროფკავშირებს ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის გამო.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის პროფკავშირებსა და მშრომელებს შორის ჩამოყალიბდა და წარმატებით ვითარდება ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ინტერესებისა და მიზნების ურღვევი ერთობის პრინციპები.

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

## საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1961 წლის 8 სექტემბერს

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმის დარბაზში, როცა სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

• • •

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ძვირფასო ინდოელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

ჩვენ აქ შევიკრიბენით იმისათვის, რომ მივესალმოთ საპატიო სტუმარს — გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს — ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ჯავაჰარლალ ნერუს და მის თანმხლებ პირებს.

ბატონი ნერუ ჩვენს ქვეყანაში უკვე მესამედ ჩამოდის. პირველად იგი საბჭოთა კავშირს ესტუმრა 1927 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეათე წლისთავის დღესასწაულის ღირსშესანიშნავ დღეებში. მაშინ იგი მოსკოვში სტუმრად იყო თავის მამასთან — ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანთან მოტილალ ნერუსთან ერთად. იმ დროს ინდოეთი ჯერ კიდევ კოლონიის მდგომარეობაში იყო. მეორედ ბ-ნი ნერუ ჩვენს ქვეყანას ესტუმრა 1955 წლის ივნისში, როცა ინდოეთი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ხოლო ბ-ნი ნერუ — მისი პრემიერ-მინისტრი. ეს ვიზიტი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო ჩვენი ქვეყნების ხალხთა გულწრფელი მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების გზაზე. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ახლაც ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის ყოფნა საბჭოთა კავშირში დიდ როლს შეასრულებს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

თქვენი ახლანდელი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, ისეთ დროს მოხდა, როცა საერთაშორისო ვითარება მნიშვნელოვნად გართულდა და ადამიანები ყველგან განიცდიან შეშფოთებას ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აშკარა გაძლიერების გამო.

როცა 16 წლის წინათ დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, ხალხებს იმედი ჰქონდათ, რომ ეს ომი უკანასკნელი იქნებოდა, რომ ყველა ქვეყნის მთავრობები განახორციელებდნენ ქმედით ღონისძიებებს, რათა დედამიწაზე უზრუნველეყოთ ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა. ხალხებს მშვიდობიანი ცხოვრება სურთ. ამისათვის გაიღეს მათ უმაგალითო მსხვერპლი. არც ერთმა ხალხმა არ იცის ეს უკეთ, ვიდრე ჩვენმა ხალხმა. ჩვენ წარსულ ომში მილიონობით ადამიანი დავკარგეთ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამო საბჭოთა ხალხს განსაკუთრებით მწვავედ აქვს შეგნებული, რომ საჭიროა განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი ახალი ომის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენს დროში, როცა კაცობრიობის წინაშე დაისახა უფართოესი შესაძლებლობანი მატერიალური წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, მატერიალური დოვლათის სიუხვის შექმნის დარგში, როცა ადამიანმა ოცნებიდან სინამდვილედ აქცია კოსმოსურ სივრცეში გაფრენა, ჩასწვდა ატომის საიდუმლოებას, თითქოს თვით ფიქრი ომზე, როგორც სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებაზე, ველური და არაბუნებრივი უნდა იყოს. მაგრამ მკაცრი სინამდვილე ის არის, რომ სწორედ ახლა, როცა შექმნილია საჭირო პირობები სწრაფი პროგრესისათვის, კაცობრიობა აღმოჩნდა ახალი სამხედრო ტრაგედიის ზღვარზე.

ყველამ იცის, რომ ყველაზე აგრესიულმა იმპერიალისტურმა ძალებმა, რომლებიც მზად არიან მსოფლიო გადაჩეხონ თერმოატომური ომის უფსკრულში, ვითარების გამწვავების საბაბად აირჩიეს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების საკითხი. ჩვენ უკვე არაერთხელ მოგვიხდა ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის პოზიციისა ამ საკითხში და ვფიქრობ, საჭირო არ არის კვლავ შევჩერდეთ ყველა დეტალზე.

რა არის ჩვენი წინადადებების მიზანი? იგი მარტივი და გასაგებია: გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებით ჩავაქროთ მბჟუტავი კერა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დარჩა ევროპის ცენტრში, იურიდიულად განვამტკიცოთ ამჟამად არსებული გერმანიის საზღვრები, დაბრკოლება შევუქმნათ მილიტარისტთა და რევანშისტთა საშიში ავანტიურების გზაზე, რომლებმაც კვლავ წამოყვეს თავი დასავლეთ გერმანიაში. მხოლოდ მას, ვინც აგრესიას ესწრაფვის, ვისაც სურს გააღვივოს ახალი მსოფლიო ომის ხანძარი, შეუძლია უარი თქვას საზავო ხელშეკრულების დადებაზე.

ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის ისიც, რომ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების დროს უნდა გავითვალისწინოთ რეალური სინამდვილე, ე. ი. ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ობიექტური ფაქტი. სწორედ ამ სახელმწიფოებთან უნდა დაიდოს საზავო ხელშეკრულება. უნდა ითქვას, რომ მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი იქნებოდა, თუ ყველა სახელმწიფო დიპლომატიურ ურთიერთობას დაამყარებდა როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ისე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, რათა დე-ფაქტო და დე-იურე ფიქსირებულ იქნას ორი გერმანული რეალური სახელმწიფოს არსებობა.

მშვიდობის საქმეს დიდ სამსახურს გაუწევდა ორი გერმანული რესპუბლიკის მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამით მათი საერთაშორისო იურიდიული ცნობა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ორივე გერმანული სახელმწიფოს მიღება სერიოზული შემაკავებელი ფაქტორი იქნებოდა დასავლეთ გერმანიის რევანშისტული, მილიტარისტული ძალებისათვის და ნატოს სამხედრო ბლოკში დასავლეთ გერმანიის იმ მოკავშირეებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ ამ ძალებს.

ისინი, ვინც მხოლოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ცნობენ, ატეხენ ყვირილს: როგორ შეიძლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღება, როცა ისინი არ ცნობენ მას და არა სურთ ცნონ?

მაგრამ თუ რეალურ სინამდვილეს გავითვალისწინებთ და პოლიტიკაში ვიხელმძღვანელებთ არა სიმპათიით ან ანტიპათიით ამა თუ იმ სახელმწიფოს სოციალური წყობილებისადმი, არამედ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებით, არ შეიძლება არ მივიდეთ დასკვნამდე, რომ ორივე არსებული გერმანული სახელმწიფო მიღებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ამისათვის დრო მომწიფდა.

ხოლო თუ ანგარიშს არ გავუწევთ ფაქტებს და უარვყოფთ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რაღა დარჩება? დავაგროვოთ ძალები და ვემზადოთ ომის გზით გადავჭრათ სადავო საკითხები? ასეთ პოლიტიკას ერთ დროს, როგორც ცნობილია, ახორციელებდა დალესი, მაგრამ მანაც თავისი სიცოცხლის ბოლოს შეიგნო ასეთი კურსის საშიშროება და აბსურდულობა და დაიწყო მისგან ჩამოცილება. სამწუხაროა, რომ სხვები აღიჭურვნენ ახლა იმით, რაზეც დალესმა უარი თქვა. ისინი იცავენ პოლიტიკას, რომელმაც ცხადყო მთელი თავისი აბსურდულობა მსოფლიოში ძალთა ახალი თანაფარდობის დროს, და სურთ ამ დრომოჭმული პოლიტიკით იარონ წინ. მაგრამ არ შეიძლება მკვდრეთით აღადგინო დალესი, არ შეიძლება მკვდრეთით აღადგინო აგრეთვე დალესის დრომოჭმული პოლიტიკა. ვინც ამას არ ითვალისწინებს, ძველი წარმოდგენებით ცხოვრობს, მან შეიძლება მსოფლიო მიიყვანოს სამხედრო კატასტროფამდე.

მინდა აღვნიშნო, რომ სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მსოფლიოში იმის გაგება, რომ საჭიროა პოლიტიკაში დავეყრდნოთ რეალურ სინამდვილეს, პირდაპირ შევხედოთ ფაქტებს, მოგვწონს ისინი თუ არა. ამ რეალისტურ პოზიციას გერმანიის საკითხში მხარს უჭერენ ბევრი სახელმწიფოს ხელმძღვანელები, რომლებიც ცნობენ, რომ უნდა ვითვალისწინებდეთ ამჟამად ორი გერმანიის არსებობას, რომლებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან, რომ გერმანიის პრობლემა არ შეიძლება გადაიჭრას მუქარით, სამხედრო ღონისძიებათა გზით, ომისათვის მზადების გზით.

მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებში ჯერ კიდევ არ იჩენენ სურვილს გონების პოზიციიდან მიუდგნენ გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემას. დასავლეთის სახელმწიფოები ჩვენს წინადადებებს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ უპასუხებენ სამარი მზადების გაძლიერებით და პირდაპირი მუქარით. მაგრამ რას უნდა მიაღწიონ ამით? დასავლეთში ხომ კარგად იციან, რომ ჩვენს ხალხს მუქარისა არ ეშინია, რომ ძალები საკმაოდ გვყავს, რათა გამანადგურებელი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს. იქ ისიც იციან, რომ ჩვენ მოვითხოვთ გერმანიის საზავო ხელშეკრულების პრობლემა გადაიჭრას შეთანხმებულ საფუძველზე, ხოლო ასეთი საფუძვლის შემუშავება შეუძლებელია ომის ფსიქოზის გაღვივების პირობებში, როგორც ამას სჩადიან ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთი გერმანია და ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

მართალია, ახლა დასავლეთში ბევრს ლაპარაკობენ, რომ მოლაპარაკება საჭირო და აუცილებელიც არის. ასეთი აზრი გამოთქვა 30 აგვისტოს პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმაც. თუ ეს გამოხატავს დასავლეთის სახელმწიფოთა ნამდვილ განზრახვას, თუ ისინი მზად არიან საქმიანი მოლაპარაკებისათვის, საბჭოთა მთავრობა მიესალმება ამას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სერიოზულ საქმიან მოლაპარაკებას, რომლის შედეგად დაიდება გერმანიის საზავო ხელშეკრულება ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალი ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით. მაგრამ შეუძლებელია დაუსრულებლად გადაიდოს გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგება. და თუ ვისმეს იმედი აქვს მოლაპარაკების შესახებ ლაპარაკით გააჭიანუროს დრო, მოატყუოს საზოგადოებრივი აზრი, მინდა ერთხელ კიდევ მთელი გარკვეულობით ვთქვა, — ეს არ მოხერხდება.

ჩვენ სინანულს გამოვთქვამთ, თუ დასავლეთის სახელმწიფოები ჩვენთან ერთად ხელს არ მოაწერენ გერმანიის საზავო ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში ხელშეკრულება დაიდება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ამას მოისურვებენ. მშვიდობიანი მოწესრიგების გადადება აღარ შეიძლება, ხალხები არ გვაპატიებენ ახალ გადადებას.

გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებით გადაიჭრება დასავლეთ ბერლინის საკითხიც. დასავლეთი ბერლინი მიიღებს რემილიტარიზებული თავისუფალი ქალაქის სტატუსს, ხოლო მის მოსახლეობას სრული შესაძლებლობა ექნება იცხოვროს იმ ეკონომიური და პოლიტიკური წესწყობილების პირობებში, რომელსაც ის მოისურვებს, არავის არ ექნება უფლება ჩაერიოს დასავლეთ ბერლინის საშინაო საქმეებში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომლის ცენტრში იმყოფება დასავლეთი ბერლინი, აგრეთვე არაერთხელ აღუნიშნავს, რომ იგი არ აპირებს ხელყოს დასავლეთი ბერლინი, ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში.

თავისთავად იგულისხმება, რომ არ იქნება დასავლეთ ბერლინის არავითარი ბლოკადა. მისთვის უზრუნველყოფილი იქნება ყველა ქვეყანასა და ხალხთან თავისუფალი კავშირი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივი წესის დაცვით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზე გადის კომუნიკაციები დასავლეთ ბერლინთან.

ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენმა მშვიდობისმოყვარულმა წინადადებებმა—დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და მოხდეს პირობების ნორმალიზაცია დასავლეთ ბერლინში, რომლებიც შეტანილია კეთილი განზრახვით, რათა მოისპოს მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, იმპერიალისტურ წრეებში გამოიწვია არა მარტო გაუგებლობა, არამედ გაფთრებაც. მათ დაიწყეს შეიარაღებული ძალების გაძლიერებით ზრდა, ადიდებენ ასიგნობებს შეიარაღებაზე, განახორციელეს სამხედრო ხასიათის მთელი რიგი ღონისძიებანი, შექმნეს უმაგალითო დაძაბულობა მთელ მსოფლიოში. სამარ მზადებას განსაკუთრებით ფართო გაქანება მიეცა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო მათ შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, საფრანგეთში. ამას აიძულებენ აგრეთვე სხვა ქვეყნებს, რომლებიც ნატოს აგრესიულ ბლოკში შედიან.

ჩვენ გავითვალისწინეთ შექმნილი პირობები და, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო უგულვებელგვეყო ჩვენი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური ბანაკის უშიშროების ინტერესები. საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა ამ ბოლო დროს გაედიდებინა სსრ კავშირის თავდაცვითი ხარჯები, დროებით დაეტოვებინა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში კარგად გაწვრთნილი საბჭოთა მეომრები, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები. გავითვალისწინეთ რა პირდაპირი მუქარა საბჭოთა კავშირის მიმართ, ჩვენ იძულებული გავხდით მოვაწყოთ ატომური იარაღის გამოსაცდელი აფეთქება.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები ახლა თავს ასაღებენ ატომური იარაღის გამოცდის ლამის ყველაზე თავგამოდებულ მოწინააღმდეგეებად. მათ წინადადებაც კი წამოაყენეს, რომ არ მოეწყოს ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში, რადგან ეს ზიანს აყენებს ადამიანთა ჯანმრთელობას. მათი წინადადებანი არ ყოფილა გათვალისწინებული არა თუ მისაღებად, არამედ სერიოზულად განსახილველადაც კი. ეს იყო წმინდა წყლის პროპაგანდისტული ხერხი საზოგადოებრიობის მოსატყუებლად. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი არ დაელოდა საბჭოთა კავშირის პასუხს და მიიღო გადაწყვეტილება შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის მოწყობის შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინადადებათა მთელი აზრი ის არის, რომ მიიღონ ცალმხრივი სამხედრო უპირატესობანი საბჭოთა კავშირის წინაშე. ისინი ხომ მოითხოვდნენ შევთანხმებულიყავით გამოცდის აკრძალვის შესახებ მხოლოდ ატმოსფეროში, მაშინ როცა მიწისქვეშა აფეთქება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. უფრო მეტიც, საფრანგეთი არ იქნებოდა შებოჭილი რაიმე შეზღუდვით ატომური იარაღის გამოცდაში, რასაც იგი ახორციელებს ნატოს მთელი ბლოკის ინტერესებისათვის, იმიტომ, რომ გამოცდის აკრძალვა მასზე საერთოდ არ გავრცელდებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელმძღვანელებს თავიანთი წინადადებებით სურდათ დაებნიათ დასავლეთის დიპლომატიის ხრიკებში გამოუცდელი ადამიანები. ისინი ცდილობენ ამოეფარონ ფრაზებს კაცთმოყვარეობის, ადამიანთა ჯანმრთელობის შესახებ. და ამავე დროს გამალებული ტემპებით ზრდიან ადამიანთა მოსპობის საშუალებებს.

არის კარგი ანდაზა: კაცს თავს სჭრიდნენ და მუწუკი არ მატკინოთო. ბატონი იმპერიალისტები ადამიანებს უმზადებენ სიკვდილს ომის ცეცხლში და ლაპარაკობენ მათს ჯანმრთელობაზე.

თვითონ ისინი გვემუქრებიან, მდგომარეობას უკიდურესად ამწვავებენ და უნდათ, რომ არ მივიღოთ ჩვენი უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებანი! ძნელია ამას სხვა რამ უწოდო, თუ არა მკრეხელობა.

სწორედ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მთელი ქვეყნებისა და ხალხების სიცოცხლისათვის რომ ვზრუნავთ, იძულებული ვართ მივიღოთ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც გონს მოიყვანენ აგრესიულ ძალებს, რათა მათ შეიგნონ, რომ ომის გზით ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზნებს. ჩვენ უარს ვერ ვიტყვით იმ იარაღის სრულყოფაზე, რომელიც საჭიროა, რათა შევაჩეროთ ძალები, რომლებსაც სურთ მოუსპონ ადამიანებს არა მარტო ჯანმრთელობა, არამედ სიცოცხლეც, რომლებსაც სურთ წაართვან ჩვენს ხალხს, სოციალისტური და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ხალხებს ყოველივე ის, რაც მათ თავიანთი შრომით შექმნეს. აგრესორებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ ისინი ომს გააჩაღებენ, ეს მათთვის თვითმკვლელობა იქნება.

კიდევ ერთ რამეს არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი. ლაპარაკს ადამიანთა ჯანმრთელობაზე, რარიგ უცნაურიც არის ეს, ახლა ისინი აწარმოებენ, ვის სინდისზეც არის ათასობით დახოცილი მებრძოლი ეროვნული განთავისუფლებისათვის ანგოლასა და ალჟირში, ბიზერტასა და კონგოში, ომანსა და კენიაში, — ყველგან, სადაც ხალხები იმაღლებენ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის ხმას და მოითხოვენ თავიანთი ადამიანური ღირსების პატივისცემას.

გაოცებას იწვევს, როგორ შეიძლება დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკაში კაცთმოყვარეობისადმი მოწოდება შეუხამდეს კოლონიურ ძარცვას.

ყველგან, სადაც ჩაგრული ხალხები ირაზმებიან დამოუკიდებლობისათვის, კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, იმპერიალისტები მაშინვე იმიშვლებენ ხოლმე მახვილს და ცდილობენ ძალით შეინარჩუნონ კოლონიური, მონათმფლობელური წესწყობილება. კოლონიური ხალხების სამართლიან მოთხოვნას მისცენ მათ თავისუფლება კოლონიზატორები უპასუხებენ სისხლიანი ტერორით, ბომბებით, ნაპალმით. ისინი წვავენ სოფლებს, ხოცავენ უმწეო ადამიანებს — ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს.

არა, არავითარი სიტყვებით არ შეიძლება დაიფაროს იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების წინააღმდეგ.

როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მრავალი ქვეყანა ილაშქრებს კოლონიური ძარცვის წინააღმდეგ, იმპერიალისტური სახელმწიფოების, სწორედ იმ სახელმწიფოების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც ახლა ლაპარაკობენ კაცთმოყვარეობაზე, მხარს უჭერენ კოლონიზატორებს, ხოლო ისინი, ვინც, თუმცა სდუმან, არსებითად კოლონიზატორთა მხარეზე არიან.

კაცობრიობის სინდისი ვერ შეურიგდება კოლონიზატორთა სისხლიან ბოროტმოქმედებას. კოლონიალიზმი ვერ მოისპობა კეთილი სურვილების დახმარებით. კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ერთობლივ ღონისძიებებს. ცხადია, რომ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცე და ერთიანია მშვიდობისა და პროგრესისათვის, აგრესიისა და ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების საერთო ფრონტი.

საქმე ახლა ეხება მთავარს — ომის თავიდან აცილებას. ბოლო რომ მოვუღოთ ომის დაწყების საფრთხეს, გამალებულ შეიარაღებას, ატომური იარაღის გამოცდასა და დაგროვებას, უნდა მივაღწიოთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას. მაშინ აღარ იქნება ატომური იარაღის გამოცდის საკითხიც, არ იქნება იარაღი — მაშასადამე, არ იქნება ომები სახელმწიფოთა შორის. თუ მოისპობა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ჯ. ნერუ და კ. ნკრუმა

8 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და განის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი კვამე ნკრუმა.

ჯ. ნერუმ და კ. ნკრუმამ ბლოკებში-მიუმხრობელი ქვეყნების კონფერენციის დელეგაციათა მეთაურების დავალებით, კონფერენციისა, რომელიც გაიმართა ბელგრადში მიმდინარე წლის 1-6 სექტემბერს, გადასცეს წერილი, რომელიც ამ კონფერენციის დელეგაციათა მეთაურებმა გამოუგზავნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვს, ჯ. ნერუსა და კ. ნკრუმას შორის გაიმართა მეგობრული და გულახდილი საუბარი თანამედროვე საერთაშორისო ვითარების საკითხებზე. (საკდესი).

## აზრთა გულახდილი გაზიარება

8 სექტემბერს კრემლში მოეწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ახალი შეხვედრა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ჯავაჰარლალ ნერუსთან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ჯ. ნერუმ განაგრძეს აზრთა გულახდილი გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემებისა და საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების საკითხებზე.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა; ინდოეთის მხრივ — საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა რ. კ. ნერუმ, ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში ს. დატმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგემ დეშპანდე ვ. ხ. კოლხომ. (საკდესი).

## ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ს. სულცბერგერს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკული გაზეთის „ნიუ-იორკ ტაიმსის" საგარეოპოლიტიკური მიმომხილველი საირუს სულცბერგერი მისივე თხოვნით.

საუბრის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა შეკითხვებზე, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას შეეხებიან. (საკდესი).

# საყოველთაო მშვიდობისათვის

## საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის მიტინგი

**საბჭოთა** ადამიანები მხურვალე სიმპათიითა და პატივისცემით ეგებებიან გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს, რომელიც კვლავ იწვია ჩვენს ქვეყანას. მისი სახით ისინი მიესალმებიან მრავალმილიონიან ხალხს, რომელმაც მოიშორა კოლონიალიზმის ბორკილი და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზით მიდის. ერთიანი მიზანი — ბრძოლა საყოველთაო მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის — აერთიანებს ორ დიდ ხალხს—ინდოელ და საბჭოთა ხალხებს. მათ ერთიანობასა და შეკავშირებას ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ამ მღელვარე დღეებში, როცა ნატოს წამყვანი სახელმწიფოები ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას, იმუქრებიან რაკეტულ-ატომური ომის გაჩაღებით.

ხალხებმა გამანადგურებელი წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ აგრესორებს, დაიცვან მშვიდობა — ეს მოწოდება უდიდესი ძალით გაისმა კრემლის მაღალი ტრიბუნიდან. აქ, კრემლის დიდ სასახლეში, 8 სექტემბერს მოსკოველები შეხვდნენ საპატიო ინდოელ სტუმარს — პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმა დარბაზში, როცა პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრი **ჯავაჰარლალ ნერუ**, ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ნ. პოსპელოვი.**

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. ა. დიგაიმ.** იგი გულითადად მიესალმა პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს და თქვა:

— ჩვენ გულწრფელად გვიხარია, რომ კვლავ გხედავთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში თქვენ, ბატონო ნერუ, დაუცხრომელ მებრძოლს ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ამხ. დიგაი აღნიშნავს, რომ ინდოეთის მთავრობის მეთაურის ეს ვიზიტი სსრ კავშირში ახალი წვლილია ინდოეთისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში და ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ. ვ. ციცინი.** იგი ლაპარაკობს საბჭოთა ადამიანების კეთილ, მეგობრულ გრძნობებზე შრომისმოყვარე და ნიჭიერი ინდოელი ხალხის მიმართ, ახალი დამოუკიდებელი ინდოეთის რესპუბლიკის მშენებლობაზე. ამ კეთილშობილურ საქმეში, აღნიშნავს აკადემიკოსი ციცინი, ინდოეთი ყოველთვის პოულობს გულწრფელ თანაგრძნობას, გაგებასა და უანგარო დახმარებას საბჭოთა კავშირის მხრივ. საბჭოთა ადამიანები დიდ კმაყოფილებას განიცდიან ინდოეთის რესპუბლიკის პოზიციის გამო, რომელიც მტკიცედ იდგას მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებს, მხარს უჭერს სსრ კავშირის წინადადებებს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში, რომელთა მიზანია მთელი მსოფლიოს დიადი საქმის განმტკიცება, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცება და იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიური სისტემისა და მთელ მის გამოვლინებათა სრული ლიკვიდაცია.

აკადემიკოსმა ციცინმა მეგობარ ინდოელ ხალხს ახალ-ახალი წარმატებანი უსურვა თავისი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მშვიდობის დიადი საქმის განმტკიცებაში.

დედაქალაქის მშრომელთა სახელით საპატიო სტუმარს მხურვალედ მიესალმა კიროვის სახელობის „დინამოს" ქარხნის მღარავი, კომუნისტური შრომის დამკვრელი **კ. ფ. ლიზაკოვი.**

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი **ლიდია სკოპცოვა** გამოვიდა საბჭოთა ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახელით.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს გამოჩენას ტრიბუნაზე.

# ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

შექმნილი იარაღი, არავინ არ დახარჯავს ძალებსა და სახსრებს ახალი იარაღის შესაქმნელად, რათა შემდეგ მოსპოს იგი.

ჩვენ შემოგვაქვს წინადადება განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება უაღრესად მტკიცე საერთაშორისო კონტროლით. ეს წინადადება, რომელსაც საფუძვლად უდევს ნამდვილი სიყვარული ადამიანებისადმი, ზრუნვა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. რატომ არ უნდა მიიღონ დასავლეთის სახელმწიფოებმა ეს წინადადება? ასეთ გადაწყვეტილებას ტაშს დაუკრავდა მთელი მსოფლიო!

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, რომ მზად ვართ ყოველ მომენტში მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, რათა შევიმუშაოთ და ხელი მოვაწეროთ ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა ქვეყანამ წამოაყენა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა. საბჭოთა მთავრობამ ბევრ საკითხში გაუწია ანგარიში დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილს, რათა გაეადვილებინა შეთანხმების მიღწევა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

როცა დასავლეთის სახელმწიფოებმა აზრი გამოთქვეს, რომ უნდა დაბალანსდეს განიარაღების ღონისძიებანი ატომური იარაღის დარგში და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების დარგში, ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ უკვე პირველ ეტაპზე განვახორციელოთ შეიარაღებული ძალების რიცხვისა და შეიარაღების დიდი შემცირება. ისეთ საკითხებში კი, როგორიც კონტროლია, საბჭოთა მთავრობამ ნათლად და გარკვევით განაცხადა, რომ მზად არის მიიღოს დასავლეთის სახელმწიფოთა ყოველი წინადადება კონტროლის შესახებ, თუ ისინი მიიღებენ საბჭოთა წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობენ ამოეფარონ კონტროლის საკითხებს როგორც კი იწყება მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. მხოლოდ ის ისმის, რომ, აი, საბჭოთა კავშირს არა სურს კონტროლი განიარაღებისადმი, თავს არიდებს კონტროლს და სხვ.

დაე დასავლეთის სახელმწიფოებმა თქვან: ჩვენ ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, თუ იგი მიიღებს ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონტროლის ჩვენს სისტემას ვეტოს უფლების გამოუყენებლად, თუ ამასთან თავისუფალი იქნება შესვლა ყველა კუთხესა და ყველა ნაპრალში, რათა ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლოს სხვებისაგან ფარულად აწარმოოს იარაღი და დააგროვოს ძალები თავდასხმისათვის. დაე მათ წამოაყენონ ასეთი წინადადება— ჩვენ მივიღებთ მას. და საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა გადაიჭრება ყველა ხალხის ინტერესებისათვის. დასავლეთის სახელმწიფოებს რომ შემოეტანათ ასეთი წინადადება, ხოლო ჩვენ არ მიგვეღო იგი, მაშინ ჩვენ დაგვეკისრებოდა მთელი ბრალი განიარაღების ჩაშლისათვის.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები არ აყენებენ საყოველთაო და სრული განიარაღებისადმი კონტროლის თავიანთ სისტემას. რატომ? იმიტომ, რომ მათ არა სურთ განიარაღება და იციან, რომ თუ ისინი წამოაყენებენ საყოველთაო და სრული განიარაღებისადმი კონტროლის თავიანთ სისტემას, ჩვენ მას მივიღებთ, და მაშინ მათ უკან დასახევი გზა აღარ ექნებათ.

განიარაღების პრობლემა უნდა გადაიჭრას, საყოველთაო და სრული განიარაღება ფაქტი უნდა გახდეს, მაგრამ ეს თავისთავად როდი მოვა — საჭიროა ბრძოლა. ხალხებმა, რომლებსაც მშვიდობა სურთ, უნდა გამოიჩინონ ამის გაგება და შეკავშირდნენ იმ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ეწინააღმდეგებიან განიარაღებას, აფართოებენ გამალებულ შეიარაღებას, ემზადებიან მესამე მსოფლიო ომის გასაჩაღებლად. ყოველ ქვეყანაში ხალხებმა უნდა დარაზმონ მთელი ძალები განიარაღებისათვის საბრძოლველად, გამონახონ თავიანთი მტკიცე ნების გამოხატვის საშუალებანი და უკან დაახევინონ განიარაღების მოწინააღმდეგეებს.

ბევრ ქვეყანაში ხალხები მტკიცედ იმაღლებენ ხმას განიარაღების სასარგებლოდ. ინდოეთის ხალხი ამ საკითხში დიდ აქტივობას იჩენს, და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობა მსოფლიო ასპარეზზე გამოდის იმის სასარგებლოდ, რომ რაც შეიძლება მალე დაიდოს ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინდოეთი სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან ერთად კვლავაც იბრძოლებს იმისათვის, რომ განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ბევრ ქვეყანაში, რომლებიც აგრესიულ სამხედრო ბლოკებში შედიან, ჯერ კიდევ ყველას როდი შეუგნია იმ საფრთხის სიღრმე, რაც მოსდევს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკას, გამალებული შეიარაღებისა და დაძაბულობის გამწვავების პოლიტიკას. რა თქმა უნდა, ცალკეული ჯგუფები იქაც გამოთქვამენ პროტესტს, ეწევიან მუშაობას განიარაღების სასარგებლოდ, მაგრამ ამ ქვეყნების ადამიანთა ძირითადი მასა პასიურ მდგომარეობაშია. ადამიანებს იქაც სურთ მშვიდობა, მაგრამ არ იჩენენ შეუპოვრობას მშვიდობისათვის ბრძოლაში. უფრო მეტიც, დასავლეთის ქვეყნების აგრესიული წრეები კვლავ იყენებენ ასეულ ათასობით და მილიონობით ამომრჩევლის ხმას პარლამენტის არჩევნებში, ქმნიან მათი დახმარებით პარლამენტებსა და მთავრობებს, რომლებიც განაგრძობენ აგრესიული პოლიტიკის, ომის მომზადების პოლიტიკის განხორციელებას.

ახლა, როცა წყდება საკითხი— იყოს თუ არ იყოს ომი, არ შეიძლება მსოფლიოში იყონ მეთვალყურეები. როგორც სამართლიანად ამბობდნენ ბ-ნი ნერუ და აზიისა და აფრიკის ქვეყნების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები, ომისა და მშვიდობის საკითხებში არ შეიძლება იყო ნეიტრალური, რადგან არ შეიძლება იყო გულგრილი, როცა არჩევანია სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა, სავსებით დაუჭერს მხარს ჩვენი პატივცემული სტუმრის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ომისა და მშვიდობის საქმე ეხება ყოველ ქვეყანას — დიდსა თუ პატარას, და ამიტომ ყოველ ქვეყანას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობის თავისი ნაწილი და იმუშაოს ამ მიმართულებით“ და რომ „ჩვენი ამოცანაა ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ომი“.

რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა ბლოკებსმიუმხრობელი სახელმწიფოების მეთაურთა ბელგრადის კონფერენცია, რომლის შედეგები მოწმობენ, რომ მშვიდობის დასაცავად აქტიური მოქმედების საჭიროება სულ უფრო ფართო გაგებას პოულობს. ამ კონფერენციის ატმოსფეროში იგრძნობოდა კეთილშობილური შეშფოთება კაცობრიობის ბედისათვის, მისწრაფება დაიცვან მშვიდობა, სამუდამოდ მოუღონ ბოლო კოლონიალიზმს.

ამ კონფერენციაზე ლაპარაკი იყო, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ურთიერთგაგება სახელმწიფოთა შორის და კეთილი ურთიერთობა დამყარდეს საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუ დაძლეულ იქნებოდა უთანხმოება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, თუ მათ შორის დამყარდებოდა მშვიდობიანი თანამშრომლობის ურთიერთობა, ეს უაღრესად შეუწყობდა ხელს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. იმაზე, თუ რა ურთიერთობა იქმნება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის, ხომ ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო ვითარება მთლიანად.

უეჭველია, ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის, რომლებიც მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციას ადგანან, დიდი მიღწევა, დიდი გამარჯვება იქნება, თუ ორი დიდი სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი მიაღწევენ ურთიერთგაგებას, იცხოვრებენ მშვიდობიანად და არა მარტო მშვიდობიანად, არამედ მეგობრულად.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის რომ დამყარებული იყოს მშვიდობიანი, მეგობრული ურთიერთობა, საეჭვოა ვინმემ შეძლოს გაართულოს საერთაშორისო ვითარება, რადგან იგი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ჩვენი ორი ქვეყნის პოზიციებს და ხელი აიღოს თავის აგრესიულ გეგმებზე. საჭიროა გავწმინდოთ გზა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ასეთი მეგობრული ურთიერთობისათვის, ხოლო ამისათვის საჭიროა ავიღოთ ქვები, ხერგი, რაც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მივაღწიოთ ნამდვილ მშვიდობიან თანაარსებობას, შევქმნათ პირობები ვაჭრობის, კულტურული და სხვა ურთიერთობის განვითარებისათვის. სწორედ ამას ვესწრაფვით ჩვენ, ამისათვის ახორციელებს საბჭოთა მთავრობა დიდ ღონისძიებებს.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფაში დიდი როლი ეკუთვნის საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას. საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მეგობრობა და ურთიერთგაგება, რომლებსაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემა, ნდობა და ურთიერთმხარდაჭერა, ჩვენი საერთო სიმდიდრეა. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა განამტკიცოს ეს მეგობრობა ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებისათვის.

საბჭოთა ადამიანებისათვის სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ სსრ კავშირისა და ინდოეთის ეკონომიურ და ტექნიკურ თანამშრომლობას ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში კარგი ნაყოფი მოაქვს. ჩვენ რომ ხელი შევუწყეთ ინდოეთს ბჰილაის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაში, ამას მაღალი შეფასება მისცეს როგორც ინდოელმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, ისე ინდოეთის უბრალო ადამიანებმაც. ბ-ნმა ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქარხანა, რომელიც საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობით აშენდა, ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მტკიცე ურთიერთობის, მეგობრობის სიმბოლოა“. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამას, ხოლო თქვენი ტაში, ამხანაგებო, კვლავ ადასტურებს, რომ მთავრობის ღონისძიებანი, ჩვენი ხალხის ფიქრი და მეცადინეობა ერთი მიმართულებით მოქმედებს.

შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში ნაყოფიერი თანამშრომლობის ბევრი მაგალითი. საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა სულ უფრო მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს ეკონომიური, მეცნიერული, ტექნიკური, კულტურული და ყველა სხვა მშვიდობიანი ურთიერთობა სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა დიდ შემოქმედებითს შრომითს აღმავლობას განიცდის. საბჭოთა ხალხი განიხილავს ლენინის დიადი პარტიის ახალი პროგრამის პროექტს, ემზადება ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXII ყრილობას. პარტიის პროგრამა — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა — ეს არა მარტო კომუნისტების, არამედ ყველა საბჭოთა ადამიანის საქმეა, მილიონობით ადამიანის ცოცხალი საქმეა. საბჭოთა ადამიანებს ომი არ ესაჭიროებათ. საზოგადოება, რომელსაც ჩვენი ხალხი აშენებს, თავის მიზნად აცხადებს მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ბედნიერებას ყველა ხალხისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის, საბჭოთა და ინდოელი ხალხების ურყევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნისა და კონტინენტის მშვიდობის ძალების ერთიანობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

# ჯ. ნერუს სიტყვა

ბატონო თავმჯდომარევ!
ბატონო პრემიერ-მინისტრო ხრუშჩოვ!
ძვირფასო მეგობრებო!

დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველას, ვინც აქ წარმოთქვით მეგობრობისა და მისალმების სიტყვები.

მართლაც, ორი დღის წინათ მოსკოვს ჩემი ჩამოსვლის მომენტიდან ყოველთვის ვხვდებოდი საბჭოთა მთავრობის პატივცემული მეთაურის, საბჭოთა მთავრობის დანარჩენი ხელმძღვანელი მოღვაწეებისა და დიდი დედაქალაქის მოსახლეობის გულითადი მოპყრობისა და მეგობრობის გამოვლინებას.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა ყოველთვის სიამოვნებას მგვრის. ეს საშუალებას მაძლევს პირადად ვადევნო თვალყური წინსვლას ახალი საზოგადოების მშენებლობაში და მეცნიერების პროგრესს. მახარებს მეგობრობის ატმოსფერო, რომელიც აქ გარს გვარტყია.

მე აქ ვიყავი ექვსი წლის წინათ. მას შემდეგ საბჭოთა კავშირი შესამჩნევად წავიდა წინ. მან საკვირველი წარმატებანი მოიპოვა ახალ დარგში კოსმოსური ფრენის განხორციელებაში.

აქ, მშვენიერ ქალაქ მოსკოვში, უდიდეს ცვლილებებს ვპოულობ. იგი გაზრდილა — ბევრი ახალი სახლია აშენებული. ქალაქი კიდევ უფრო ლამაზი გამხდარა და წინანდელზე უფრო მეტად ახარებს თვალს...

განვლილ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კონტაქტები და თანამშრომლობა, ძალიან გაფართოვდა ჩვენი ვაჭრობა და გაიზარდა ჩვენი კულტურული ურთიერთობა. ასობით ინდოელი სტუდენტი ჩამოდის აქ, რათა ისწავლოს და მიიღოს ტექნიკური მომზადება. სსრ კავშირის დახმარებით აშენდა და შენდება დიდი ქარხნები ინდოეთში. ასობით საბჭოთა ინჟინერმა და ტექნიკოსმა გაგვიწია დახმარება ინდოეთში ჩვენთვის ამ მეტად დიდმნიშვნელოვან მუშაობაში.

ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით საბჭოთა მეცნიერებთან და ინჟინრებთან თანამშრომლობას ჩვენი საქმიანობის ბევრ დიდმნიშვნელოვან დარგში. დიდი მადლობელი ვარ საბჭოთა კავშირის მთავრობისა იმ დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწია და ახლაც გვიწევს.

ჩვენ ვმუშაობთ ახალი ინდოეთის მშენებლობაზე, ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მისთვის ღირსეული ცხოვრების შექმნაზე. ამ მიზნით ეს არის დავამთავრეთ ჩვენი მეორე ხუთწლიანი გეგმა და დავიწყეთ მესამეზე მუშაობა. იმედი გვაქვს, რომ ამ ხუთწლედის დამლევს მტკიცე საფუძველს ჩავუყრით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

თუმცა მე, რა თქმა უნდა, გატაცებული ვარ ჩემი საკუთარი ქვეყნის პრობლემებით, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ დღეს ჩემი გონება და ჩემი სული შეშფოთებულია საერთაშორისო მდგომარეობით, რომელიც უკანასკნელ თვეებში ისე გაუარესდა, რომ ომის შიშიც კი წარმოიშვა.

ომი ყოველთვის მძიმეა, მაგრამ ჩვენს საზარელი ატომური იარაღის დღეებში მასზე ფიქრიც კი აშინებს ადამიანს. მსოფლიოს ყველა ხელმძღვანელი აღნიშნავდა და ამბობდა, რომ მშვიდობა საარსებო საჭიროებაა. საბჭოთა კავშირში მშვიდობის დიდი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, ხაზგასმულია უფრო მეტადაც კი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირი იბრძვის აგრეთვე საყოველთაო და სრული, ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღებისათვის. რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ომის საშინელ საფრთხეს.

ჩვენ ინდოეთში მშვიდობის განსაკუთრებით ერთგულნი ვართ. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი დამრიგებელი იყო ჩვენი დიდი ბელადი მაჰათმა განდი, რომელიც გვასწავლიდა მშვიდობიანი გზით გვევლო ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩვენს ბრძოლაშიც კი, და მან მშვიდობიანი საშუალებებით მოგვიტანა თავისუფლება.

ჩვენ ინდოეთში ბევრი ნაკლოვანება გვაქვს. და სხვა ხალხებზე უკეთესად არ მიგვაჩნია თავი არაფრით. მაგრამ ჩვენ ყოველთვის მშვიდობას ვიცავდით. და მართლაც, ჩვენი ოცნება მომავალი ახალი ინდოეთის შესახებ დაიმსხვრევა, თუ ჩვენს სხვადასხვა ზრუნვით გაწამებულ მსოფლიოს თავს დაატყდება ომი. ყოველივე ამის გამო ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა უდიდეს შეშფოთებას იწვევს ჩვენში. ჩვენ გვესმის, რომ ომისა და მშვიდობის გასაღები ჩვენს ხელთ არ არის, და ძალიან ცოტა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ ავბედითი მდგომარეობის შესაცვლელად. მაგრამ სულითა და გულით გვსურს გავაკეთოთ ის მცირედი რამ, რის გაკეთებაც შეგვიძლია მშვიდობისათვის.

და ჩვენ მოვუწოდებთ იმ დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელთ უპყრიათ ომისა და მშვიდობის გასაღები და რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია დღეს საბჭოთა კავშირს, აღმოფხვრან ომის საშინელი საფრთხე და მშვიდობა დაამყარონ მთელ მსოფლიოში.

მე მოსკოვს ჩამოვედი ბელგრადიდან, სადაც გაიმართა 25 ბლოკებსმიუმხრობელი ქვეყნის კონფერენცია. ამ თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი თხოვნით განის პრეზიდენტმა და მე თავმჯდომარე ხრუშჩოვს ჩამოვუტანეთ წერილი, რომელშიც გამოთქმულია ჩვენი დიდი შეშფოთება საშიში საერთაშორისო მდგომარეობის გამო. ასეთივე წერილი გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის. ამ წერილში ჩვენი თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ ამ ორ დიდ სახელმწიფოს სასწრაფოდ გამართონ მოლაპარაკება, და განსაკუთრებით მოლაპარაკება უმნიშვნელოვანესი თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად ან, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და ნაყოფიერი მოლაპარაკების ატმოსფეროს შესაქმნელად.

ეს არის რამდენიმე კონტინენტის 25 ქვეყნის ხელმძღვანელთა წერილი, და მე მიმაჩნია, რომ იგი გამოხატავს მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანის სანუკვარ ფიქრს. ამ წერილში მათ არ გამოუთქვამთ თავიანთი საკუთარი შეხედულებანი ცალკეულ საერთაშორისო პრობლემათა შესახებ, რომლებიც დღეს ჩვენს წინაშე დგას. მათ მიაჩნიათ, რომ უნდა განხორციელდეს ყოველგვარი ღონისძიება იმისათვის, რომ ეს პრობლემები შეთანხმების გზით გადაიჭრას. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მხოლოდ მოლაპარაკებას შეიძლება მოჰყვეს ნაყოფიერი შედეგები. ჩვენ გვგონია, რომ ამ სერიოზული პრობლემების გადასაჭრელად არ არსებობს სხვა გზები, გარდა მოლაპარაკების გზისა.

როგორც კი შენელდება ახლანდელი დაძაბულობა და აღმოიფხვრება ომის საფრთხე, რომელიც დღეს აშინებს კაცობრიობას, გაიხსნება გზა ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების განსახორციელებლად, როგორიცაა სრული განიარაღების პრობლემა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ არ ვეცდებით სრულ განიარაღებას და არ მივაღწევთ მას, არც მშვიდობა იქნება მთელ მსოფლიოში. შიში მოიცავს ადამიანთა გონებას ყველგან, ხოლო შიში ცუდი მრჩეველია. იგი იწვევს სიძულვილს, ძალის გამოყენებას და ნგრევას.

როცა მეცნიერების პროგრესი საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ის ახალი მსოფლიო, რომელიც დღეს არც ისე შორს არის ჩვენგან, კონფლიქტებისა და სიძულვილისაგან, ძალის გამოყენებისაგან თავისუფალი მსოფლიო, როცა იგი კეთილდღეობას მიანიჭებს ყველას, უდიდესი ტრაგედია იქნებოდა, რომ კაცობრიობას არ გამოეყენებინა შექმნილი შესაძლებლობა და ნგრევის მეთოდებისათვის მიემართა.

დღეს ჩვენს წინაშე ისახება უკანასკნელი შესაძლებლობანი. არასწორი ნაბიჯი მოსპობს ყოველგვარ მომავალს კაცობრიობისათვის. ჩვენ მშვიდობა გვსურს, და მშვიდობა შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ მშვიდობიანი გზებით, თორემ ჩვენ ვიცხოვრებთ შიშით, სიძულვილისა და რევანშის ატმოსფეროში.

თვალსაჩინო მეცნიერები, ადამიანები, რომლებმაც იციან, გვეუბნებიან დღეს, რომ ომს ვერ მოჰყვება რომელიმე ქვეყნის ან პარტიის გამარჯვება, ომს შეიძლება მხოლოდ მოჰყვეს საყოველთაო დამარცხება და კაცობრიობის სრული მოსპობაც კი. თუ ეს ასეა, უნდა გამოვიყენოთ მთელი არსებული მშვიდობიანი მეთოდები, რათა გადავჭრათ როგორც ეროვნული, ისე აგრეთვე საერთაშორისო პრობლემები.

ჩვენი ხალხის დიდმა მასწავლებელმა ბუდამ, რომელიც 2.500 წლის წინათ ცხოვრობდა, [illegible] რომ უდიდესი გამარჯვება ის გამარჯვებაა, რომლის დროსაც [illegible] და ყველა [illegible].

ასეთი გამარჯვების მიღწევა არ შეიძლება კონფლიქტების, დიდი მასშტაბით ნგრევის საშუალებით. ამიტომ ჩემი მოწოდებაა გამოვიყენოთ მშვიდობისა და მოლაპარაკების მეთოდები ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად. უკვე მრავალი წელია მშვიდობისათვის მოგვიწოდებს ასეულ მილიონობით ადამიანი ყოველ ქვეყანაში და ისინი ამ მოწოდებით მიმართავენ ქვეყნების ხელმძღვანელებს. იმისათვის, რომ მათი გულის მოწოდება განხორციელდეს, ჩვენ ყურად უნდა ვიღოთ იგი.

ეროვნული პრესტიჟი დიდმნიშვნელოვანი რამ არის. მაგრამ პრესტიჟი, რომელიც დაკავშირებულია ომის საშუალებით მშვიდობის დამყარების იმედთან, დღეს ემყარება არა გონებას, არა ლოგიკას, რადგან ომი არავის არ შემატებს პრესტიჟს.

ეროვნული უშიშროება აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი მოსაზრებაა, მაგრამ საყოველთაო დანგრევა ვერ გაადიდებს უშიშროებას. ატომური მეცნიერების პროგრესმა იმედი მოგვიტანა, მაგრამ ამასთანავე დანგრევის საფრთხეც შექმნა. მსოფლიომ უნდა აირჩიოს გზა, რომლითაც იგი ივლის, და დიდი ხელმძღვანელები სწორი გზით უნდა წაგვიძღვნენ.

ატომური ბომბები ხიროსიმისა და ნაგასაკის შემდეგ სრული დანგრევის გზას გვიჩვენებენ. მას შემდეგ მიღწეულია ეგრეთ წოდებული პროგრესი ნგრევის მეთოდების განვითარებაში, ხოლო რადიოაქტიურობის მეოხებით შეიძლება საშინელი შედეგები წარმოიშვას მომავალი თაობებისათვის. აი რატომ ამდენად შეშფოთებული ვართ იმით, რომ წარსულში ხდებოდა ატომური იარაღის გამოცდა, რომ ჩვენ მოვუწოდებთ მისი შეწყვეტისათვის. რა სამხედრო მოსაზრებაც უნდა წამოაყენონ ასეთი გამოცდის მოწყობის სასარგებლოდ, ეს გამოცდა მთელ კაცობრიობას უქმნის საფრთხეს. პრობლემები, რომლებიც მილიონობით ადამიანს ეხება, ადამიანურობის თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ. დღეს როგორც ადამიანურობის მოსაზრებანი, ისე ლოგიკაცა და გონებაც მშვიდობიან გზას გვიჩვენებს, და მე მთელი გულწრფელობითა და მხურვალედ მოვუწოდებ ვიაროთ ამ გზით, რათა იგი განსაზღვრავდეს სახელმწიფოების ხელმძღვანელთა აზრსა და საქმიანობას.

საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და განიარაღების მომხრეა. იგი უდიდეს მუშაობას ეწევა ახალი საზოგადოების შესაქმნელად. მან უდიდესი წარმატებანი მოიპოვა და მის წინაშე კიდევ უფრო დიდი წარმატებებია მომავალში. შემოქმედებითი საქმიანობის ეს წარმატებები ჭეშმარიტი გამარჯვებაა, რომელიც ვნებას ვერ მოუტანს ვერავის და ბედნიერებას ანიჭებს მილიონობით ადამიანს.

დიდი იმედი მაქვს, რომ მაგალითი მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი გვიჩვენებდა მრავალი წლის მანძილზე, კვლავაც გაგრძელდება და ნაყოფიერ შედეგებს მოუტანს ყველა ქვეყანას.

კვლავ მადლობას ვუძღვნი თავმჯდომარე ხრუშჩოვსა და საბჭოთა მთავრობის წევრებს, აგრეთვე ამ დიადი ქვეყნის მთელ ხალხს მათი სტუმართმოყვარეობისათვის, მათი გულითადობისათვის, იმ სიყვარულისათვის, რომელსაც ისინი ჩვენდამი იჩენდნენ.

მწამს, რომ ინდოეთის ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხის ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო და მეგობრული გახდება.

* * *

ჯ. ნერუს და ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მხურვალე ტაშით. გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „მშვიდობა მსოფლიოს!“.

მიტინგი სსრ კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მზარდი მეგობრობის, მათი იმ მტკიცე გადაწყვეტილების შესანიშნავი დემონსტრაცია იყო, რომ დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში. (საქდესი).

## სკკპ დელეგაცია გაემგზავრა კორეის შრომის პარტიის IV ყრილობაზე

კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 8 სექტემბერს მოსკოვიდან ფხენიანს კორეის შრომის პარტიის IV ყრილობაზე გაფრინდა სკკპ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ფ. რ. კოზლოვი. (საქდესი).

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო პლენუმმა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი კ. კ. გარდაფხაძე გაათავისუფლა სამუშაოსაგან.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნად არჩეულია ვ. მ. სირაძე. (საქდესი).

## შეიქმნა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტი

**სტალინირი,** 8 სექტემბერი (საქდესი). გაიმართა სტალინირის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის XV კონფერენცია. მოხსენება სკკპ პროგრამის პროექტის შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. კოზაევმა, მოხსენება სკკპ წესდების პროექტის შესახებ — პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. დ. ფალავანდიშვილმა. მომხსენებლებმა და გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს უდიდესი მნიშვნელობა ამ ისტორიული დოკუმენტებისა, რომლებიც გამოხატავენ მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებას.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები.

დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ოლქის მშრომელები ყრილობისწინა შრომითს ვახტზე დადგნენ და საჩუქრებს უმზადებენ სკკპ XXII ყრილობას. მათ აღნიშნეს, რომ დროულია, რომ სტალინირში კვლავ შეიქმნა საქართველოს კომპარტიის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს ალკკ საქალაქო კომიტეტი.

კონფერენციამ აირჩია პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის შემადგენლობა და პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის XXVIII კონფერენციის დელეგატები.

გაიმართა პარტიის სტალინირის საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ვ. ცხოვრებოვი,** მეორე მდივნად **მ. გელაძე.**

# ასე ფიქრობენ და მსჯელობენ წითელწყაროში

## რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

**იმ** ღრმა, ნათელი აზრების შესახებ, რითაც ახლა მთლიანად ცხოვრობს ჩვენი ქვეყანა, დიდი და გულლია საუბარია წითელწყაროშიც... აგიტატორები, ლექტორები, პარტიული აქტივის წევრები პარტიის მართალ სიტყვას ყოველდღიურად გადასცემენ მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში მომუშავე კოლმეურნეებს, რაიონის ყველა მშრომელს. და ისინიც კომუნიზმის ხვალინდელი დღის სიხარულით სძლევენ სიძნელეებს, ენერგიას არ იშურებენ, რომ გაამრავლონ სოფლად დოვლათი, რომ სულ უფრო და უფრო მეტი იყოს მათი წვლილი საყოველთაო-სახალხო საქმეში.

გუშინწინ აქ რაიონული პარტიული კონფერენცია გაიმართა. ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან მოვიდნენ დელეგატები, მოვიდნენ ისინი და თან მოიტანეს ამხანაგების, თანამოსაქმეების სიხარული და სურვილები.

### დიადი პროგრამის შუქით

— **პარტიის** ახალი პროგრამა ჩვენი მომავლის პროგრამა იქნება, — ამბობენ დელეგატები, — პროგრამის პროექტში მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების კონკრეტული, დიადი გეგმა. ეს გეგმა გვმატებს ხალისს, და იმის შეგნებას, რომ ჩვენ, წითელწყაროელებმა, მის განხორციელებაში ღირსეული წვლილი უნდა შევიტანოთ, მოგვიწოდებს სანიმუშოდ მოვაწყოთ შრომაც, ცხოვრებაც.

ასე ამთავრებენ თავიანთ გამოსვლას დელეგატები ლ. რიჟი, გ. ჯამასპიშვილი, ნ. მაქსიმოვა, გ. ტოკლიკიშვილი, შ. ცხადაძე, დ. გომელაური და სხვები.

კონფერენციის მონაწილენი პარტიის პროგრამის პროექტთან ერთად განიხილავდნენ პარტიის ახალი წესდების პროექტს და გამოთქვამდნენ კანონიერ სიამაყეს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიმართ, რომლის ხელმძღვანელობითაც საბჭოთა ადამიანებმა გიგანტურ შედეგებს მიაღწიეს ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მოახდინეს სასწაულები.

— პარტია თავის წევრებს მოგვიწოდებს, — ამბობენ ისინი, — ვიბრძოდეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ვიყოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ვზრდიდეთ შრომის ნაყოფიერებას, ვიყოთ ყოველივე ახლის, პროგრესულის წამომწყებნი, მხარს ვუჭერდეთ და ვავრცელებდეთ მოწინავე გამოცდილებას, ვეუფლებოდეთ ტექნიკას, სრულვყოფდეთ ჩვენს კვალიფიკაციას, ვუფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს.

აი თვითეული კომუნისტის ღირსების საქმე!

როგორც პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენებაში, ისე დელეგატების გამოსვლებში მთავარი ყურადღება ჰქონდა დათმობილი იმ მუშაობას, რასაც წითელწყაროელი მშრომელები ეწევიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად.

### გამოვტაცოთ ბუნებას მაქსიმუმი

**ტრიბუნასთან** დელეგატები რიგრიგობით მიდიან... თითქმის ყველა მათგანი აღნიშნავდა, წელს ამინდმა გვიმუხთლა, მარცვლეულის მოსავალი დაგვეღუპა, ველზე ბალახი გადახმა. მაგრამ მათს გამოსვლებში ჩანდა მტკიცე რწმენა, რომ ადამიანი უძლური არ არის ბუნების წინაშე, რომ საჭიროა ბუნებას გამოვტაცოთ იმის მაქსიმუმი, რის მოცემაც მას შეუძლია, რომ ჩვენს ქვეყანაში, კომუნიზმის გზით მიმავალ ქვეყანაში ადამიანები თანდათანობით სძლევენ ბუნების სტიქიონს, ურთიერთდახმარებითა და თანამშრომლობით შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევენ.

— მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, — ამბობს მომხსენებელი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ს. ხოსროშვილი, — წელს გადაჭარბებით შევასრულეთ პირუტყვის სულადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნახევარწლიური გეგმები. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წელს რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 36 ტონით მეტი ხორცი, 12 ტონით მეტი მატყლი, 247.000 ცალით მეტი კვერცხი. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ჯაფარიძის, ზემო მაჩხაანის, გამარჯვების, ზემო ქედის, საბათლოს, წითელწყაროს ორჯონიკიძისა და ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

რის შედეგია ეს?

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი აღნიშნავს, რომ მათ რაციონალურად გამოიყენეს არსებული მცირეოდენი სარწყავი ნაკვეთები. მაგალითად, „მილარზე“ 40 ჰექტარი იონჯას ნათესი ფართობი მათ ოთხჯერ გათიბეს და მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღეს მწვანე მასა და ვიტამინური თივა. ფერმებში სანიმუშოდ არის დაყენებული პირუტყვის მოვლა. ჯაფარიძელები ამაყობენ თავიანთი მუქურებით. მწველავმა მარიამ ჩიტაურმა 8 თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 3.000 ლიტრი რძე, ხოლო წლის ბოლომდე 4.500 ლიტრი რძის მიღებისათვის იბრძვის. მთლიანად კოლმეურნეობაში საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე 1 სექტემბრისათვის მიღებული იყო 2.204 კილოგრამი რძე.

ან ავიღოთ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. ეს კოლმეურნეობა წლების მანძილზე ჩამორჩებოდა. ცუდი მაჩვენებლებით წარუდგა იგი გასულ კონფერენციასაც. მაგრამ დღეს ეს კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე დ. ჯანიკაშვილი) და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი გ. ჰილიტაშვილი) შეძლეს დაეჩქარებინათ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, მოწესრიგდა შრომა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, კოლმეურნეთა შორის გაუმჯობესდა ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

დელეგატები აყენებდნენ კითხვას: რა რეზერვები დაგვრჩა გამოუყენებელი? ისინი მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის ერთ-ერთ მთავარ რეზერვად ასახელებდნენ საკმაოდ ვრცელი ველების „ტარიბანისა“ და „ზილიჩის“ მორწყვის აუცილებლობას, მარცვლეული და საკვები კულტურების ნათესი ფართობების გაზრდას, ბუნებრივი საძოვრების გაუმჯობესებას.

სკკპ პროგრამის პროექტში ნათქვამია:

**— შესრულდეს საირიგაციო მშენებლობის ვრცელი პროგრამა გვალვიან რაიონებში მილიონობით ჰექტარი ახალი მიწების მორწყვისა და გაწყლიერებისათვის და არსებული სარწყავი მიწათმოქმედების აღმავლობისათვის“.**

— აი ჩვენი გადაუდებელი ამოცანა,— აღნიშნავდნენ ისინი.

წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა გ. ჰილიტაშვილმა ყურადღება გაამახვილა პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებაზე.

### როცა სუსტია პარტიული თვალი

**კონფერენციის** მონაწილენი რომ ჩამორჩენილთა შესახებ ლაპარაკობდნენ, შარშანდელივით წელსაც პირველ რიგში სოფლების ოზაანისა და მირზაანის კოლმეურნეობებს ასახელებდნენ.

— რაიონის საერთო მაჩვენებლებს უკან სწევენ, გვარცხვენენ, ვერ ასრულებენ პროდუქტების წარმოების გეგმებს, — გაისმოდა დელეგატთა უკმაყოფილო ხმა დარბაზში.

— ან როგორ შეიძლება იყოს ამ კოლმეურნეობებში წარმატებები, როცა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია კოლმეურნეთა თითქმის მესამედს?!

— დაბალ დონეზეა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, კომუნისტების ერთი ნაწილი თვითონ არღვევს შრომის დისციპლინას.

დელეგატები — მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ოღლიშვილი, კომკავშირის რაიკომის მდივანი ე. ქავთარაძე და სხვები მკაცრად აკრიტიკებენ ამ კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს, რომლებიც სუსტად ეწევიან კოლმეურნეთა აღმზრდელობითს მუშაობას, განსაკუთრებით კი უყურადღებობას იჩენენ ახალგაზრდობისადმი.

ზოგჯერ კომუნისტთა თვალწინ დანაშაული ხდება, ისინი კი ასეთ ფაქტებს გულგრილად ხვდებიან. განა შესაწყნარებელია, რომ არხილოს კალოს, ზემო ქედისა და ქვემო ქედის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა პირუტყვის ქურდობის შემთხვევებს? ზოგჯერ ასეც ხდება: საბათლოს შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის ავტომძღოლმა კომუნისტმა ს. აივაზიანმა მეფრინველეობის ფერმიდან 9 ტომარა ხორბალი გაიტაცა. პირველადი პარტიული ორგანიზაცია კი არავითარ ზომებს არ იღებს მის მიმართ და ცდილობს გაამართლოს კიდეც.

ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იყენებს კოლმეურნეობის გამგეობისადმი კონტროლის უფლებას.

სკკპ ახალი წესდების პროექტში ნათქვამია, რომ **პარტიის საფუძველს წარმოადგენენ პირველადი ორგანიზაციები.** დელეგატები პარტიის რაიკომისაგან სამართლიანად მოითხოვდნენ გაძლიერდეს ხელმძღვანელობა და დახმარება პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი.

* * *

რაიონის სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სწავლება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საწარმოო სწავლებას. წელს ერთცვლიან მეცადინეობაზე გადავიდა კიდევ ორი სკოლა, ამაღლდა მეცადინეობის ხარისხი.

მაგრამ განა საკმარისია ის, რაც რაიონში გაკეთდა?

— გასულ წელს, — აღინიშნა კონფერენციაზე, — ორი სკოლა-ინტერნატის მშენებლობა დაიწყო, მაგრამ დღემდე არცერთი არ არის მზად საექსპლოატაციოდ.

რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ მ. ლაპიაშვილმა გააკრიტიკა სამშენებლო ორგანიზაციები და ამავე დროს აღნიშნა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა პედაგოგი გაურბის სოფლის სკოლებში მუშაობას.

### კომუნიზმს სჭირდება შენება

**კონფერენციაზე** ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძემ.** ამხანაგმა მჟავანაძემ ილაპარაკა იმ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რითაც საბჭოთა ხალხი ეგებება თავის მშობლიური პარტიის მორიგ XXII ყრილობას. უდიდესი წარმატებებია მოპოვებული ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. პარტია და მთავრობა გიგანტურ მუშაობას ეწევიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისათვის, რათა საჭირო შემთხვევაში საკადრისი პასუხი გავცეთ აგრესორებს.

— კომუნიზმი თავისით არ მოვა, — თქვა ამხანაგმა მჟავანაძემ, — იგი უნდა ავაშენოთ. საჭიროა თვითეულ საბჭოთა ადამიანს ღრმად ესმოდეს თავისი დიდი მოქალაქეობრივი უფლება, რომ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების ფართო პროპაგანდის აუცილებლობაზე.

კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს — აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ რაიონში მომავალი წლის უხვ მოსავალს, მომავალი წლისათვის მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აიყვანონ 20 ცენტნერამდე, ყურძნისა — 72 ცენტნერამდე, აწარმოონ საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.900 ლიტრი რძე, ერთ ცხვარზე — 3,1 კილოგრამი მატყლი, ერთ კვერცხმდებელ ქათამზე— 112 ცალი კვერცხი.

კონფერენციამ განხილულ საკითხებში მიიღო ღონისძიებანი, აირჩია პარტიის რაიკომის ახალი შემადგენლობა, სარევიზიო კომისია, საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატები.

* * *

რაიკომის პირველმა პლენუმმა პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ს. ხოსროშვილი, მეორე მდივნად — ი. ბალაშვილი. მდივნად — რ. ქადაგიძე.

ალ. ზურაშვილი

# გილოცავთ ზეიმს, ბულგარელო მეგობრებო!



ტ. ჟივკოვი თბილისში ყოფნის დროს.

## წინსვლა, აღმავლობა

**ყოველდღე — 256 რაციონალიზატორული წინადადება**

ბულგარეთის სამრეწველო საწარმოებში [illegible]

[illegible] არის მეტალურგიული კომბინატი და ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა.



ბარაქიანი რთველი პოლდოვის ოკრუგის თეოდორ კაბლეშკოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში (ბულგარეთი).

## ასე გაიზარდა, დამშვენდა

□ 17 წლის მანძილზე ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ძირეული ცვლილებები მოხდა. 1939 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოება გაიზარდა 12-ჯერ.

□ 1939 წელს ბულგარეთში ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენდა 266 მილიონ კილოვატსაათს, ხოლო შარშან მან შეადგინა 4.660 მილიონი კილოვატსაათი, ანუ გაიზარდა 18-ჯერ. ამჟამად ბულგარეთი უშვებს იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც საბერძნეთი და თურქეთი ერთად.

□ წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობების ბაზაზე ბულგარეთში შეიქმნა 932 მსხვილი სამიწათმოქმედო კოოპერატივი, რომელთა განკარგულებაშია ქვეყნის სახნავ-სათესი ფართობის 98,4 პროცენტი.

□ სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად დიდად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი. მან 1960 წლისათვის 2,8-ჯერ გადააჭარბა 1948 წლის დონეს. ამავე პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი წელიწადში 4.853 ლევიდან გაიზარდა 8.761 ლევამდე.

□ მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტით განათლებასა და კულტურაზე დაიხარჯება 2.393 მილიონი ლევი. ყოველ 10 ათას მცხოვრებზე ბულგარეთში მოდის 75 სტუდენტი, ხოლო მეზობელ საბერძნეთში — 26, თურქეთში — 10,4 და ინგლისში — 20.

## ტ. ჟივკოვი — სოციალისტური შრომის გმირი

სოფია, 7 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის ბრძანებულებით ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს თოდორ ჟივკოვს დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და ბულგარელი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ოქროს ვარსკვლავი და გიორგი დიმიტროვის ორდენი.

## გზა სიუხვისაკენ

1948 წლის იანვარში სლივენის სოფელ გავრაილოვოს მოწინავე გლეხებმა — კომუნისტებმა და უპარტიოებმა — გადაწყვიტეს შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობა დაარსებინათ. ასე დაიწყო სოფლის ისტორიაში ახალი თავი.

კოოპერაციულ მეურნეობაში წევრები ცოტა იყო, ხოლო ქონება კიდევ უფრო ნაკლები ჰქონდათ. ან კი რა უნდა ჰქონოდათ მთიანი სოფლის ღარიბ გლეხებს? და მაინც სწორედ ამ ადამიანებმა ჩაუყარეს საფუძველი პირველ კოოპერაციულ მასივებს, თავი მოუყარეს პირუტყვს საერთო ბაკში და დაიწყეს კოლექტიურად მუშაობა.

ბევრი შრომის გაწევა, ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდათ კოოპერაციული საქმის პიონერებს. გზა სიუხვისაკენ იოლი გზა როდია. პარტია და მთავრობა დახმარებას უწევდნენ კოოპერატორებს. მათვე მიეშველა მეცნიერება და ტექნიკა. სოფლის მშრომელები იყენებდნენ საბჭოთა კოლმეურნეების გამოცდილებას, სწავლობდნენ ამ გამოცდილებით.

გადიოდა წლები. კოოპერაციული მეურნეობა იზრდებოდა, იზრდებოდა მის წევრთა რიცხვიც. ფართოდ გაიშალა სოფლის სავარგულები, გადიდდა მოსავალი, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა პროდუქტიულობა. კოოპერატორები ახლა უფრო შეძლებულად ცხოვრობენ.

სოფელმა გავრაილოვომ ისე იცვალა სახე, რომ ვეღარ იცნობ. ძველი, ალიზის ქოხმახების ნაცვლად გაჩნდა ახალი, ქვიტკირის სახლები, სახლებში კი ლამაზი ავეჯი. ფართო პარკში სკოლის ნათელი შენობა აღიმართა. სოფლის ცენტრში სასოფლო კოოპერატივი — სამუშაო სათავსებით, ჩინებულად მოწყობილი მაღაზიებით. შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობის ეზო კეთილმოწყობილია, აშენდა მკვიდრი ბოსლები, საწყობები, ფარდულები და სხვა სამეურნეო სათავსები.

1958 წელი. შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. სოფლები გავრაილოვო, სელიმინოვო (რომელიც ცნობილია თავისი ხეხილის ბაღებით) გაერთიანდნენ ერთ მეურნეობად, რომელსაც ცნობილი რევოლუციონერის და თურქთა უღლისაგან ბულგარელი ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლის ხაჯი დიმიტრის სახელი მიაკუთვნეს. გაერთიანებული მეურნეობის ცენტრი სოფელი გავრაილოვო გახდა. გლეხთა კომლების რიცხვი 1.380-ს აღემატება. დამუშავებული მიწა 42 ათას დეკარს შეადგენს, ხეხილის ბაღების ფართობი — 8 ათასს, ვენახების ფართობი კი — 5 ათას დეკარს. გადიდდა ჯიშიანი პირუტყვის სულადობა, მნიშვნელოვნად გამდიდრდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი, აშენდა ახალი სამეურნეო სათავსები, მეფრინველეობის თანამედროვე ფერმა, საღორე და სხვ.

გაერთიანებული მეურნეობის თავმჯდომარეა ხრისტო ასენოვი, ახალგაზრდა და ენერგიული კაცი, კომუნისტი. წინათ იგი მუშაობდა სოფიაში, სადაც პასუხსაგები პოსტი ეჭირა, მაგრამ როცა თანასოფლელებმა სთხოვეს კოოპერაციულ მეურნეობაში დაბრუნებულიყო, იგი დათანხმდა. აქ მას ყველა იცნობს, იგი დიდი ნდობით სარგებლობს. და მეურნეობაში შრომა გაჩაღდა.

შვიდი სოფლის მშრომელების წინაშე დიდი ამოცანები დგას: გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, გააშენონ ახალი ვენახები და ხეხილის ბაღები, განახორციელონ მეტი წილ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია, გააუმჯობესონ კოოპერატორთა საყოფაცხოვრებო პირობები.

სულ რაღაც სამ წელიწადში მეურნეობამ დიდი ნახტომი გააკეთა წინ. 5 დეკარზე აშენდა სათბურები (ჰოლანდიური ტიპისა), საადრეო ბოსტნეულის — პამიდორის, კიტრის, მწარე წიწაკის მოსაყვანად. პირველ წელსვე (1960) სათბურის დეკარ ფართობზე კოოპერატორებმა 11,5 ტონა პამიდორი აიღეს, წელს კი იმედი აქვთ დეკარზე 50 ტონა აიღონ. აშენდა აგრეთვე ქამა სოკოს სათბური. ერთ კვადრატულ მეტრზე 7 კილოგრამ სოკოს მოელიან, ამასთან კოოპერატორები ვარაუდობენ წელს მოიყვანონ ორი მოსავალი, სულ 30.800 კილოგრამი სოკო.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ენერგიული თავმჯდომარე სულ ახალ საქმეებს იწყებს. მაგალითად, აშენდა საკონსერვო კომბინატი, სადაც ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე მუშაობა არ წყდება. კომბინატი უშვებს სხვადასხვა ბოსტნეულის კონსერვებს, კომპოტებს, მარინადებს, ჩირს. მეტი წილი მისი პროდუქცია განკუთვნილია საექსპორტოდ. სამეურნეო ეზოში მოწყობილია ნამდვილი პატარა ქარხანა, სადაც მზადდება სათბურის ჩარჩოები, ვაზის ჭიგო, სათბურის ასაწყობი ნაწილები, სარწყავი ღარები და ა. შ. ქარხანა თავისი პროდუქციით მომსახურებას უწევს რვა ოლქის კოოპერაციულ მეურნეობებს. სპირტის ქარხანაში მზადდება რაკია (ხილის არაყი). დიდი ყურადღება ექცევა სამელიორაციო მშენებლობასაც. გაერთიანებული მეურნეობის მიწის 80 პროცენტი ირწყვება. გვალვა აქ საშიში აღარ არის.

შარშან შრომითმა კოოპერაციულმა სამიწათმოქმედო მეურნეობამ 25 მილიონ ლევზე მეტი ღირებულების პროდუქცია აწარმოა, აქედან 15 მილიონის საექსპორტო პროდუქცია.

წელს კოოპერაციული მეურნეობის გეგმა კიდევ უფრო დიდია. ეს დაძაბული გეგმაა, მაგრამ მისი შესრულება სავსებით შესაძლებელია. მარტო ატამს 5.400 ათას კილოგრამზე მეტს მოკრეფენ, ყურძენს — 1.100 ათას კილოგრამს. მეცხოველეები სახელმწიფოს მიჰყიდიან 60 ათას ლიტრზე მეტ ძროხის რძეს და 50 ათას ლიტრ ცხვრის რძეს. კოოპერატივში თითეული მომუშავის წლიური შემოსავალი 10 ათას ლევს მიაღწევს.

**ივანე ფიჩევი.**

## 9 სექტემბერი ბულგარელი ხალხის თავისუფლების დღეა

## მდგომარეობა ბრაზილიაში

ჰავანა, 7 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება ქალაქ ბრაზილიიდან, იქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გადადგა სახელმწიფო ადმირალი სილვიო ეკი. ცოტა უფრო ადრე გადადგა ბრაზილიის ავიაციის მინისტრი გენერალი გაბრიელ გრუმოსი. ცნობილია, რომ ეს მაღალი თანამდებობის სამხედრო პირნი მარშალ ოდილიო დენისთან ერთად მეთაურობდნენ პუტჩისტთა ჯგუფს, რომლებმაც გუანაბარას შტატის გუბერნატორთან კარლოს ლასერდასა და სხვა რეაქციონერებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით მოამზადეს და მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, რის შედეგადაც დაემხო პრეზიდენტი კუადროსი.

რიო-დე-ჟანეირო, 7 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი მ. არტიუშენკოვი იუწყება: მას შემდეგ, რაც ჟოაო გულარტი დაბრუნდა ბრაზილიის დედაქალაქში, მდგომარეობა ბრაზილიაში თანდათან ნორმალიზებული ხდება. პრესასა და პოლიტიკურ მოღვაწეებს მიაჩნიათ, რომ ბრაზილიამ ძირითადად დაძლია მძიმე პოლიტიკური კრიზისი. ამჟამად გრძელდება გაძლიერებული მუშაობა ახალი მთავრობის შესადგენად, რომელიც როგორც გულარტმა განაცხადა, კოალიციური იქნება. ქალაქ ბრაზილიიდან მიღებულ ცნობებში გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ პოლიტიკურ პარტიათა შორის ყველაზე მწვავე ბრძოლაა პრემიერ-მინისტრის პოსტისათვის; დღემდე კიდევ არ არის მიღწეული თანხმობა იმაზე, თუ ვინ დაიკავებს ამ პოსტს. ჟურნალისტებთან საუბარში გულარტმა ხაზი გაუსვა, რომ საგარეო პოლიტიკას იგი პრემიერ-მინისტრთან და კაბინეტის წევრებთან ერთად განახორციელებს.

ბრაზილიელი ხალხი დღეს აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს — ბრაზილიის დამოუკიდებლობის დღეს. მან 139 წლის წინათ მოიშორა პორტუგალიის სამასი წლის კოლონიური უღელი და თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბრაზილიელები ამ ისტორიულ თარიღს სერიოზული პოლიტიკური კრიზისის დაძლევით აღნიშნავენ.

## ჟოაო გულარტი ბრაზილიის პრეზიდენტია

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო სააგენტოები ბრაზილიიდან იუწყებიან, დღეს გაიმართა ჟოაო გულარტის მიერ ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტის დაკავების ცერემონია.

## საზეიმო კრება თბილისში

7 სექტემბერს გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც ბულგარელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს მიეძღვნა. კრება მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ.

მოხსენება ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა.

კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საყოველთაო სახალხო კომიტეტს. (საქდესი).



რკინიგზელთა ერთ-ერთი დასასვენებელი სახლი შავი ზღვის პირას ბულგარეთში.

## საკადრისი პასუხი ბონსა და ვაშინგტონს

საზღვარგარეთის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ბლოკებშიუმხრობელი ქვეყნების კონფერენციის შედეგებს, რომელმაც ახლახან დაამთავრა მუშაობა ბელგრადში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა გაზეთი ერთსულოვნად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფერენციის მონაწილე 25 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოითხოვეს გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. „ნოიეს დოიჩლანდი“ კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფერენციის მონაწილეებმა მოუწოდეს მოლაპარაკების მოწვევა.

გაზეთი „იუნგე ველტი“ წერს, რომ ბელგრადის კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტებში გამოთქმულია სურვილი — გადაიჭრას გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხები მშვიდობიანი გზით. ამ რეალისტური შეფასების შესაბამისად, განაგრძობს გაზეთი, რეკომენდებულ იქნა მოწესრიგდეს გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხები მოლაპარაკების მეშვეობით.

როგორც გაზეთი „დერ მორგენი“ აღნიშნავს, კონფერენციის დეკლარაცია და თვით ბელგრადში გამართული მოლაპარაკება უგნური „ჰალშტაინის დოქტრინისა“ და ბონის ხელისუფალთა დამპყრობლური გეგმებისათვის სასიკვდილო დამარცხებაა.

ამასთანავე გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კონფერენციის მსვლელობა და მის მიერ მიღებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ კონფერენციის მონაწილეებმა მკაფიო საკადრისი პასუხი გასცეს ვაშინგტონის, ბონისა და სხვა იმპერიალისტურ მთავრობათა კონცეფციას, რომელიც მიზნად ისახავს მოწესრიგდეს გადაუჭრელი საკითხები ძალის, ზეგავლენისა და შანტაჟის გზით.

ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, პოლონეთისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების პრესა ბელგრადის კონფერენციის შედეგებს აფასებს როგორც იმ ძალების ახალ დამარცხებას, რომლებიც ამწვავებენ საერთაშორისო ვითარებას.

სულ სხვანაირად აფასებს კონფერენციის შედეგებს ბურჟუაზიული პრესა, მაგალითად, ინგლისის ბურჟუაზიული პროპაგანდა აშკარა ბრაზით სცვდა იმ ფაქტს, რომ კონფერენციის მონაწილეებმა არ გაამართლეს ომის ისტერიის გაღვივების მომხრეთა და სამარცხვინო კოლონიური სისტემის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციის მოწინააღმდეგეთა იმედები. ეს იმედები, როგორც ცნობილია, ის იყო, რომ ბლოკებშიუმხრობელ სახელმწიფოთა წარმომადგენლები შეძლებდნენ „ჩაბმულიყვნენ“ ანტისაბჭოთა კამპანიაში. როცა დაინახეს, რომ მათი ვარაუდები ჩაიფუშა, ბურჟუაზიულმა კომენტატორებმა გადააბრუნეს ფირფიტა და ახმაურდნენ, ბლოკებშიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენელთა აზრი ანგარიშში არ მიიღებაო. მაგალითად, გაზეთმა „სკოტსმენმა“ როგორც ჩანს „დაივიწყა“, რომ ბელგრადში ჩავიდნენ მსოფლიოს 25 ქვეყნის წარმომადგენლები და სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ „ეროვნული ხელმძღვანელები ბელგრადში საეჭვოა საუკეთესოდ გამოხატავდნენ ნამდვილ „საზოგადოებრივ აზრსო“.

„იორქშირ პოსტი“, რომელსაც აოცებს ის, რომ ბლოკებშიუმხრობელ სახელმწიფოთა წარმომადგენლები არ წამოეგნენ ინგლის-ამერიკის იმ „მოწოდების“ ანკესზე, რომ აიკრძალოს ატომური გამოცდა ატმოსფეროში, როცა ფაქტიურად ლეგალიზებულია ატომური იარაღის სხვა სახით გამოცდა, პირდაპირ აცხადებს სარედაქციო სტატიაში, რომ „თუ ამ წინადადებამ კეთილნაყოფიერი შთაბეჭდილება არ მოახდინა ბელგრადში შეკრებილ ნეიტრალებზე, ჩვენთვის სულერთია. ჩვენ უკვე მეტად დიდ ყურადღებას ვაქცევდით „ნეიტრალურ აზრს“.

ბელგრადის კონფერენციის მონაწილეთა მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ „მაღალფარდოვანსა და პრეტენზიულს“ უწოდებს.

რა უნდა ვუპასუხოთ ამ მოსყიდულ ბურჟუაზიულ პრესას? თავისი ბრაზით იგი ვერ შეაჩერებს ისტორიის მსვლელობას. მშვიდობა სძლევს ომს, სამარცხვინო კოლონიური სისტემა მოისპობა.

(საკდესი).

## მეგობრული ვიზიტი

**პრაღაში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია**

პრაღა, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მიწვევით პრაღაში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ვ. ვ. გრიშინი.

## ადენაუერი თვალთმაქცობს

ბონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა დასავლეთ გერმანიის კანცლერის ადენაუერის შეხვედრა უცხოელ ჟურნალისტებთან. მიჰყვება რა ბონის მმართველი წრეების ხაზს, რომლებიც დასავლეთ ბერლინის საკითხს იყენებენ საბაბად ომის ისტერიისათვის, ადენაუერმა ჟურნალისტთა შეკითხვების პასუხად განაცხადა, რომ ახლა „ბერლინის კრიზისი“ გადაიზარდა „მეტად სერიოზულ და მეტად მკვეთრ მსოფლიო კრიზისად“.

კანცლერმა წაიკითხა კომუნიკე ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან გენერალ ნორსტედთან თავისი დღევანდელი მოლაპარაკების შესახებ. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნორსტედი ბონს ჩამოვიდა მისი, ადენაუერის, ინიციატივით. ადენაუერმა თქვა, რომ ნორსტედთან საუბარში შეეხნენ საკითხს ბუნდესვერიდან იმ ჯარისკაცთა დემობილიზაციის ვადის გადიდების შესაძლებლობის შესახებ, რომელთა სამსახურის ვადა ამ თვეში მთავრდება. მისი სიტყვით, ამ საკითხს „განიხილავენ“ და შესაძლებელია გადაიჭრას დადებითად.

ადენაუერმა რწმენა გამოთქვა, რომ ატომური ომი არ იქნება, რადგანაც, მისი სიტყვით, ასეთ ომში გამარჯვებულები არ იქნებიან. ამავე დროს თავისი თავის საწინააღმდეგოდ მან აღნიშნა, რომ თუ დაიწყება ომი ჩვეულებრივი იარაღის გამოყენებით, „მეტად მოახლოვდება საფრთხე“, რომ იგი ატომურ ომად გადაიქცეს.

ადენაუერმა თავი აარიდა პასუხს შეკითხვაზე, მზად არის თუ არა იგი აწარმოოს მოლაპარაკება გერმანიის საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მიუხედავად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტული ღონისძიებებისა, რომლებიც ახლახან კანცლერმა და ნორსტედმა განიხილეს, ადენაუერი საუბრის დასასრულს ამტკიცებდა, რომ მთავრობას, რომელსაც იგი მეთაურობს, „არ სურს ომი“. ჩვენ, გერმანელებმა, — თქვა მან, — საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თუ რა არის ომი“.

## ომი — ომს!

**დაიხურა ბელგრადის კონფერენცია**

ბელგრადი, 6 სექტემბერი, (საკდესი). გუშინ გვიანობამდე გრძელდებოდა ბლოკებშიუმხრობელი ქვეყნების ბელგრადის კონფერენციის დელეგაციათა მეთაურების დახურული სხდომა. ღამის ორ საათზე სახალხო სკუპშჩინის შენობაში გაიმართა კონფერენციის საბოლოო ღია სხდომა, რომელზეც გამოქვეყნდა მიღებული დოკუმენტები — „ომის საფრთხე და მოწოდება მშვიდობისადმი“ და „ბლოკებშიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციის დეკლარაცია“.

პირველ დოკუმენტში კონფერენციის მონაწილენი აღნიშნავენ შეშფოთებას საერთაშორისო ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს ახალი ომის გაჩაღების საფრთხეს. ისინი მოუწოდებენ დაინტერესებულ ქვეყნებს, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს, „დაიწყონ მოლაპარაკება მათ შორის არსებულ უთანხმოებათა მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების სავალდებულო დაცვით“. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, მოლაპარაკება უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ არ იქნება მიღწეული სრული განიარაღება და მშვიდობა.

„ამჟამად, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მოჰყვება ომი ან მშვიდობა, დამოკიდებულია ამ დიდ სახელმწიფოებზე, მაგრამ მათი შედეგები ეხება მთელ მსოფლიოს. ამიტომ ყველა სახელმწიფო და ხალხი სერიოზულად დაინტერესებულია და სურს, რომ დიდი სახელმწიფოების პოზიცია და მოქმედება საშუალებას აძლევდეს კაცობრიობას იაროს მშვიდობისა და კეთილდღეობის და არა საბედისწერო მოსპობის გზით“.

ბელგრადის კონფერენციის დეკლარაციის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია, რომ იმ პირობებში, როცა მსოფლიოს სერიოზული საფრთხე მოევლინა, „არც ერთმა ხალხმა და არც ერთმა მთავრობამ არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის“. კონფერენციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ მტკიცე მშვიდობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულიად აღმოიფხვრება კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყველა სახეობის ბატონობა.

ომი, ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში, არასოდეს არ ემუქრებოდა კაცობრიობას უფრო სერიოზული შედეგებით, ვიდრე ამჟამად. მეორე მხრივ, არასოდეს წინათ კაცობრიობას არ ჰყოლია თავის განკარგულებაში უფრო მძლავრი ძალები, რათა აღმოეფხვრა ომი როგორც პოლიტიკის იარაღი საერთაშორისო ურთიერთობაში.

იმპერიალიზმი სუსტდება. კოლონიალური იმპერიები და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა უცხოური ჩაგვრის სხვა ფორმები თანდათანობით ქრება მსოფლიო ასპარეზიდან. ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის მრავალი ხალხის ბრძოლის მსვლელობაში მოპოვებულია დიდი წარმატებანი.

კონფერენციის მონაწილენი მოითხოვენ შეწყდეს შეიარაღებული მოქმედება და ყოველგვარი რეპრესია დამოუკიდებელი ხალხების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ ალჟირელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, მოითხოვენ სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ანგოლაში, დახმარების გაწევას ანგოლელი ხალხისათვის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში, საფრანგეთის ჯარების დაუყოვნებლივ ევაკუაციას ტუნისის ტერიტორიიდან, კონგოს თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების უზრუნველყოფას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდისა და საერთოდ რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციას.

დეკლარაცია წინადადებას იძლევა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალმა სესიამ მიიღოს რეზოლუცია გენერალური ასამბლეის რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ, რომელიც განიხილავს განიარაღების საკითხებს, ანდა მოწვეულ იქნეს განიარაღების მსოფლიო კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით.

„კონფერენციის მონაწილე ის ქვეყნები, ნათქვამია დეკლარაციაში, — რომლებიც ცნობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რეკომენდაციას იძლევიან, რომ გენერალურმა ასამბლეამ თავის მომავალ სესიაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები ცნოს ამ ქვეყნის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში“.

გერმანიის პრობლემის შესახებ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ბლოკებშიუმხრობელი ქვეყნები „მოუწოდებენ ყველა დაინტერესებულ მხარეს არ მიმართონ ძალის გამოყენებას ან ძალის გამოყენების მუქარას გერმანიის საკითხის ან ბერლინის პრობლემის გადასაჭრელად“.

დასასრულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ბლოკებშიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა გადაწყვიტეს ეს დოკუმენტი გაუგზავნონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და გააცნონ იგი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებს.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

პრაღა, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პრაღას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ნოვოტნის მოწვევით ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი ო. დორტიკოსი.

რუზინის აეროდრომზე ა. ნოვოტნიმ და ო. დორტიკოსმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ჰანოი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ლაოსის მთავრობის ჯარებმა და პარტია ნეო ლაო ხაკ სატის მებრძოლმა რაზმებმა მოიგერიეს სავანაკეტის დაჯგუფების ბანდიტების თავდასხმა ბან ბანის (სიენგ კუანგის პროვინცია) რაიონის სოფელ ხენ მონზე.

როგორც რადიო „ლაოსის ხმა“ იუწყება, ბანდიტები უკუიქცნენ. მათ მოუკლეს და დაუჭრეს 14 კაცი.

ვაშინგტონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). პენტაგონმა გამოაცხადა, რომ გაძლიერდეს ეროვნული გვარდიის ოთხი დივიზიისა და ეროვნული გვარდიისა და რეზერვის 475 სხვა ნაწილის მომზადება და დაკომპლექტება შესაძლო გაწვევასთან დაკავშირებით.

ბრძანება ვრცელდება 148 ათას რიგით ჯარისკაცსა და ოფიცერზე.

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ აქ გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის დელეგაციას (რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინი) და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებს შორის, რომლებსაც მეთაურობს პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი განიარაღების საკითხებში ჯონ მაკლოი. შეხვედრის დამთავრების შემდეგ კორესპონდენტებს გადასცეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შემდეგი კომუნიკე. საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად მიმდინარე წლის 6 სექტემბერს განახლდა აზრთა გაზიარება საკითხებზე, რომლებიც ეხება განიარაღებას და მოლაპარაკების განახლებას შესაბამის ორგანოში, რომლის შემადგენლობა შესათანხმებელია.

საერთაშორისო ცხოვრება

რევანშისტული ძალების ვარაუდები ჩაიფუშა



# თუ გინდა იყო დღეგრძელი...

## პირადი ჰიგიენა და დღის რეჟიმი

შეიძლება თუ არა ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება? ამ კითხვას მეცნიერება გადაწყვეტით უპასუხებს — შეიძლება, ამის აუცილებელი პირობაა ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიური პირობების შეხამება თვითეული ადამიანის სწორ ჰიგიენურ ყოფაქცევასთან.

პირადი ჰიგიენის წესების უხეშ დარღვევას შეუძლია გავლენა იქონიოს არა მარტო მისი დამრღვევის, არამედ კოლექტივის მრავალი წევრის ჯანმრთელობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

პირადი ჰიგიენის ელემენტარული წესების დარღვევა შეუთავსებელია თანამედროვე ადამიანის კულტურის ცნებასთან.

სხეულის ჰიგიენის დაცვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანის ჰიგიენას.

კანში არსებობს საოფლე და ცხიმის ჯირკვლები. საოფლე ჯირკვლებით ორგანიზმიდან დღე-ღამეში გამოიყოფა ერთ ლიტრამდე ოფლი. ოფლთან ერთად გამოიყოფა სუფრის მარილი, ორგანიზმისათვის უვარგის ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტები. ცხიმის ჯირკვლები კი გამოყოფენ ცხიმს. ეს უკანასკნელი არბილებს კანის ზედაპირსა და თმას, განაპირობებს მათ მოქნილობასა და ელასტიკურობას.

კანის ზედაპირზე გამოყოფილ ოფლსა და ცხიმს ერევა კანის ზედაპირიდან ჩამოფცქვნილი უჯრედები, მტვერი, ბაქტერიები: ეს ერთი მხრივ აბრკოლებს კანის მიერ თავისი ფიზიოლოგიური ფუნქციების შესრულებას, ხოლო მეორე მხრივ იწვევს კანის გაჭუჭყიანებას და გაღიზიანებას. ასეთ შემთხვევაში საკმარისია კანის უმნიშვნელო დაზიანება ან განაკაწრი, რომ მასში შეიჭრას სხვა ბაქტერიებთან ერთად ჩირქის წარმომქმნელი ბაქტერიები და გამოიწვიოს კანის ჩირქოვანი ანთება.

კანის სისუფთავის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ტანის სისტემატურად კვირაში ერთხელ მაინც დაბანა. საპონი აცილებს მტვერთან შერეულ ცხიმს. დასაბანად სასურველია გამოყენებულ იქნას ტუალეტის საპონი, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს ტუტეებს და ნაკლებად აღიზიანებს კანს.

კარგად ბანს და ამავე დროს არ იწვევს კანის გაღიზიანებას ე. წ. რბილი წყალი (წვიმისა და თოვლის წყალი), რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს კალციუმის და სხვა სახის მარილებს.

განსაკუთრებულ მოვლასა და ყურადღებას მოითხოვს პირისახის კანი, ვინაიდან იგი გამოირჩევა დიდი მგრძნობელობით.

ყველა ადამიანის ბუნებრივი სურვილია შეინარჩუნოს ჯანმრთელი, ფაქიზი და ნათელი ფერის სახის კანი, თავიდან აიცილოს ნაადრევად ნაოჭების წარმოშობა... ამის საშუალება კი არის არა მრავალფეროვანი კოსმეტიკური საშუალებების ხელგაშლილი გამოყენება, არამედ ორგანიზმის რაციონალური კვება (განსაკუთრებით ვიტამინებით მდიდარი საკვებით), დასვენება და კანის სისუფთავის სისტემატური დაცვა. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს ზოგიერთი კოსმეტიკური საშუალების დანიშნულების მიხედვით გამოყენებას.

პირის დაბანა დასაშვებია დღეში ორჯერ, დილით მხოლოდ წყლით, საღამოს კი წყლითა და საპნით.

პირის დაბანის შემდეგ საჭიროა სახის კანის კარგად გამშრალება. ვინაიდან დაბანის დროს ჭუჭყთან ერთად კანს სცილდება ცხიმიც, ამიტომ მიზანშეწონილია მალამოების გამოყენება.

ხელების სისუფთავის დაცვას უაღრესად დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს. სამართლიანად თვლიან, რომ კუჭნაწლავის ისეთი მასობრივი ინფექცია, როგორიც დიზენტერიაა, ჭუჭყიანი ხელების დაავადებაა. ინფექციური დაავადებების გავრცელებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი ინფექციური დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმები საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებენ თავიანთ სიცოცხლისუნარიანობას გარემოში. მუცლის ტიფის ბაქტერიები გაბინძურებულ ნიადაგში ცოცხლობენ 2-3 თვეს, დიზენტერიის ბაქტერიები ხელსაყრელ პირობებში, თეთრეულზე და ტანსაცმელზე სძლებენ 2-3 თვეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე ბრჩხილების მოვლა. ფეხის კანის ჰიგიენური მოვლა არაფრით არ განსხვავდება ხელების კანის მოვლისაგან.

ფეხის ტერფის კანი სქელია, იგი უხვად შეიცავს საოფლე ჯირკვლებს. ფეხების არაწესიერი მოვლისას ზიანდება ფეხის კანი. კანის დაზიანების გამო მასში ადვილად იჭრება მავნე ბაქტერიები და სოკოები, რაც იწვევს კანის დაავადებას, რომელიც ბევრ უსიამოვნებას აყენებს ადამიანს და მოუვლელობის შემთხვევაში წლობით გრძელდება. განსაკუთრებით ხშირად ვითარდება აღნიშნული დაავადება კანის მომეტებული ოფლიანობის პირობებში. დაავადების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფეხების ყოველდღიურად დაბანა თბილი წყლით.

პირადი ჰიგიენის ერთ-ერთი საგულისხმო მომენტი თმის მოვლაა. თმა არა მარტო იცავს თავს გარემო მავნე ზემოქმედებისაგან, არამედ ალამაზებს ადამიანს.

კანის თმიანი ნაწილი დიდი რაოდენობით შეიცავს საოფლე და ცხიმის ჯირკვლებს. გამოყოფილი ოფლისა და ცხიმის დაშლის პროდუქტები, კანის ჩამოფცქვნილი უჯრედები და მტვერი გროვდება თმის ძირებში, აჭუჭყიანებს თმას, აბრკოლებს მის ნორმალურ კვებას.

თავის დაბანა კარგია რბილი წყლით, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს მარილებს. თავის დასაბანად არ არის მიზანშეწონილი ჯაგრისის გამოყენება, ვინაიდან იგი იწვევს კანის გაღიზიანებას. დაბანის შემდეგ თმა და თმის კანი უნდა გამშრალდეს კარგად. თუ კანი მშრალია, ამ შემთხვევაში დაბანისა და გამშრალების შემდეგ კარგია თმის ძირების შეზელვა რომელიმე მცენარეული ზეთით თვეში 1-2-ჯერ. კარგია ამ მიზნით ნუშის ან სხვა მცენარეული ზეთი. ცხიმის დატოვება თმაზე დიდი ხნით არ შეიძლება, რადგან იგი განიცდის დაშლას. ამიტომ კარგია თმის შეზელვა ზეთით საღამო ხანს, დილით კი მისი მოცილება მშრალი ჩვრით. იმავე მიზნით ზეთს შეიძლება დაემატოს სუფთა ან სალიცილიანი ღვინის სპირტი (50 გრამი სპირტი და 1,5 ან 2 გრამი სალიცილის მჟავა).

კანის თმიანი ნაწილის უსუფთაობა ხელს უწყობს სოკოვანი დაავადების განვითარებას, რაც არაიშვიათად ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვს და საშიშროებას უქმნის თმის შენარჩუნებას.

კოსმეტიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ქალები, ხშირად მიმართავენ თმის დახვევას და შეღებვას. საჭიროა ვიცოდეთ, რომ თმის ცხელი დახვევა, განსაკუთრებით ე. წ. პერმანენტული დახვევა, რომლის დროსაც იყენებენ ნიშადურს, სოდას, კირს, — ხელს უწყობს თმის დაზიანებას, მისი ელასტიკურობის და ნორმალური ბრწყინვის დაკარგვას, თმის ჩამოცვივნას. დიდი სიფრთხილით უნდა ვიყენებდეთ აგრეთვე თმის შესაღებ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებებს, ვინაიდან ზოგიერთი მათგანის ხშირი გამოყენება იწვევს თავისა და სახის კანის გაღიზიანებას. მათი გამოყენების შედეგად არაიშვიათად ვითარდება კანის მძიმე დაავადება — ეგზემა.

აღნიშნულ ქიმიურ ნივთიერებებს დიდი სიფრთხილით უნდა იყენებდნენ, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ფაქიზი და მგრძნობიარე კანი აქვს.

სხეულის მოვლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თეთრეული, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომლებიც უზრუნველყოფენ კანის საფარველის სისუფთავეს, სხეულის დაცვას ჭუჭყისა და ტრავმული დაზიანებისაგან, სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას.

გაუმართლებელია თეთრეულის გაბაიება, ოადგან იგი აფერხებს ჰაერის ცვლას და შეუძლია აგრეთვე გამოიწვიოს კანის მექანიკური გაღიზიანება.

ტანსაცმელი არ უნდა იწვევდეს მოძრაობის შეზღუდვას, სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის დაბრკოლებას, უნდა იცავდეს სხეულს გარემო ფაქტორების ზემოქმედებისაგან, უზრუნველყოფდეს სხეულისათვის სასურველი ტემპერატურის შენარჩუნებას.

ფეხსაცმელი ჰიგიენური თვალსაზრისით უნდა შეეფერებოდეს ფეხის ზომასა და ფორმას, არ უნდა უჭერდეს ფეხს, იყოს მსუბუქი და ჰაერგამტარი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ოფლიანობა, ბრტყელტერფიანობა, თითების გამრუდება, კოჟრები და სხვ.

ჰიგიენური თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლეს. თვლიან, რომ სხვადასხვა ასაკში მიზანშეწონილია სხვადასხვა სიმაღლის ქუსლის ტარება. ყოველდღიურად სახმარად განკუთვნილი ფეხსაცმელის ქუსლის სიმაღლე უნდა იყოს 1-2 სანტიმეტრი, საერთოდ კი არ უნდა აღემატებოდეს 8 სანტიმეტრს, რადგან მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უკარგავს სხეულს მყარ დასაყრდენს, ამახინჯებს მუცლის ღრუსა და მენჯის ორგანოების მდებარეობას, აბრკოლებს მათ ნორმალურ მოქმედებას.

პირადი ჰიგიენა ფართო ცნებაა. იგი სხეულის, ტანსაცმლის, ბინის ჰიგიენასთან ერთად მოიცავს აგრეთვე დღის რეჟიმის მრავალ ელემენტს.

ახალგაზრდა, ჯანსაღ ადამიანებში შრომისა და დასვენების რეჟიმის დარღვევა, პირადი ჰიგიენის წესების დაცვაზე უარის თქმა ერთი შეხედვით უვნებლად მიმდინარეობს, თითქოს არ იწვევს მათი ჯანმრთელობის ცვლილებებს. მაგრამ გადის დრო და თანდათანობით თავს იჩენს უწესრიგოდ გატარებული ცხოვრების შედეგი: სწრაფი დაღლის ნიშნები, ქოშინი, უძილობა, საჭმლის მონელების პროცესების მოშლა. ორგანიზმის ზოგადი ფუნქციონალური მოშლილობა. თუმცა, საბედნიეროდ, დღის რეჟიმის გამოსწორების შემთხვევაში ორგანიზმის ფუნქციონალური ხასიათის ზოგიერთი დარღვევა უკვალოდ ქრება.

**დღის რეჟიმი — ეს არის ადამიანის მრავალფეროვანი შრომითი მოღვაწეობისა და დასვენების, საკვების მიღების, ფიზიკური კულტურისა და სხვა მომენტების გარკვეული მორიგეობა დროში.**

ისმება კითხვა — რა ელემენტებისაგან შედგება დღის რეჟიმი? დღის რეჟიმში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შრომას. შრომა ადამიანის ჯანმრთელი სიცოცხლის, ბედნიერებისა და მორალური კმაყოფილების წყაროა.

ცხოვრებაში მრავალია ფაქტი, რომ შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანები დღეგრძელნი არიან და ღრმა მოხუცებულობამდეც კი ინარჩუნებენ შრომის უნარსა და ნათელ გონებას.

ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ადამიანი თავის ცხოვრებას განუწყვეტელ შრომასა და ჯაფაში უნდა ატარებდეს, არ უნდა იცავდეს შრომისა და დასვენების რეჟიმს. მშრომელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია შრომის სწორი ორგანიზაცია, მუშაობის რიტმულობა, შრომისა და დასვენების სწორად შეხამება.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხანმოკლე პერიოდულ შესვენებათა მოწყობას იმ პროფესიის მუშაკთათვის, რომელთა შრომითი საქმიანობა წარმოებაში შედგება ძირითადად ერთფეროვან, მონოტონურ მოძრაობათაგან, დაკავშირებულია მთლიანად სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის სტატიკურ მდგომარეობასთან და სხვ. იგი კარგ შედეგს იძლევა გონებრივი შრომის ადამიანების შრომითი საქმიანობის დროს. მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ შესვენება სრულიადაც არ ნიშნავს უმოქმედობას.

ყოველდღიური დასვენების სავალდებულო და ყველაზე სრული ღირებულების ფორმას წარმოადგენს ძილი. დამტკიცებულია, რომ ადამიანები და ცხოველები უძილობას უფრო ძნელად იტანენ, ვიდრე შიმშილს.

ძილის ნორმალური ხანგრძლივობა მოზრდილთათვის შეადგენს 7-8 საათს, ხოლო მოზარდებისათვის 8-9 საათს.

ნორმალური ღრმა ძილის დროს ადამიანი იძინებს სწრაფად და მოსვენებით. ნორმალური ძილის უზრუნველსაყოფად ძილის წინ გამორიცხულ უნდა იქნას ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც იწვევს ნერვული სისტემის აღგზნებას. დაცულ უნდა იქნას მნიშვნელოვანი ჰიგიენური წესები. სახელდობრ, ადამიანი უნდა იძინებდეს ერთ და იმავე დროს, ძილის წინ არ უნდა მიიღოს დიდი რაოდენობით საკვები, აგრეთვე მაგარი სასმელი, მაგარი ჩაი და ყავა, არ უნდა მოსწიოს თამბაქო. ძილის წინ ორი საათით ადრე უნდა შეწყვიტოს გონებრივი მუშაობა. საჭიროა ოთახის განიავება ხოლო უმჯობესია ფანჯრების ღიად დატოვება. ოთახი უნდა იყოს ბნელი ან სუსტად განათებული. არ არის რეკომენდებული ძილი საბანწამოხურული ან ბალიშში ცხვირჩარგული, ამით ბრკოლდება სუნთქვა და ადამიანს მოუსვენრად სძინავს. უმჯობესია ძილი მარჯვენა გვერდზე.

დილით გამოღვიძებისთანავე საჭიროა ლოგინიდან ადგომა, არაჰიგიენურია ლოგინში ნებივრობა, წიგნის კითხვა ან ჭამა.

ჩვენი საუბრის დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიგიენური ჩვევები ადამიანს ბავშვობიდანვე უნდა ჩაენერგოს, იგი უნდა განმტკიცდეს სკოლაში სწავლის წლებში და მის დღის განრიგში საწარმოო მოღვაწეობის დაწყებამდე უნდა შევიდეს.

**ო. შალამბერიძე,**
საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

## ლექცია მეოთხე



ო. შალამბერიძე.



„ჯანმრთელობის წყარო".

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

• • •

## მზე

მზე ენერგიის მთავარი წყაროა, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობის პირობებს ქმნის. მზის სხივადობის ინტენსივობა წლის, თვისა და დღის სხვადასხვა დროთა მიხედვით სხვადასხვაა.

მზის რადიაციის ინტენსივობაც თანდათან იზრდება მზის ამოსვლიდან, მზის ჩასვლამდე.

სამედიცინო თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს არა მარტო მზის ჯამურ რადიაციას, არამედ მასში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ულტრაიისფერი სხივების რაოდენობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზის სამკურნალოდ გამოყენებას — ელიოთერაპიას.

მზის აბაზანების დანიშვნა უმჯობესია დილის საათებში (8-დან 11 საათამდე).

მზის აბაზანები მაღალ ეფექტს იძლევა, მაგრამ მზესა და მზის აბაზანებს ფართოდ იყენებენ პროფილაქტიკური მიზნითაც; ეს იწვევს ორგანიზმის საერთო გაკაჟებას და აძლიერებს მის წინააღმდეგობას, დამცველუნარიანობას სხვადასხვა დაავადებათა მიმართ.

მზის განსაკუთრებული თვისება ბაქტერიების გამანადგურებელი თვისებაა. დამტკიცებულია, რომ მზის სხივების მოქმედების შედეგად ბაქტერიები იღუპებიან ან საგრძნობლად სუსტდება მათ მიერ დაავადების გამოწვევა.

დიდია მზის სხივების წვლილი ორგანიზმის გამოჯანსაღებისა და გარემოს მავნე გავლენის მიმართ ბრძოლის საქმეში.

ექიმი
**შ. მუშენიერაძე.**



მზე, წყალი, ჰაერი — სიცოცხლის წყარო. აი მათი მუდმივი მოტრფიალენი, სხეულს რომ იწრთობენ და იკაჟებენ. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## შიში სძლია ტექნიკამ

არ მოუარო კბილებს — ნიშნავს იმოქმედო შენი ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

კბილების დაკარგვის გამო სახის კონფიგურაციის შეცვლა, კუჭისა და სხვა შინაგანი ორგანოების მძიმე დაავადებანი, ასეთია კბილების მოუვლელობით გამოწვეული უახლოესი შედეგი.

კბილების მოუვლელობის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს დაუდევრობა, შიში სტომატოლოგიური იარაღებისადმი, განსაკუთრებით ბორმანქანისადმი, კბილის ამოღების დროს გამოწვეული ტკივილებისადმი, წარმოდგენა პროთეზის შეუგუებლობაზე და მოუცლელობა.

თანამედროვე სტომატოლოგიური მეცნიერება ამ მიზეზებს მთლიანად აბათილებს. გნებავთ უმტკივნეულოდ კბილის დამუშავება? არსებობს თბილისში უმტკივნეულო ბორმანქანები, რომლებსაც წუთში 300.000 ბრუნვა აქვს. ასეთი სწრაფი ბრუნვის შედეგად ავადმყოფს ტკივილების შეგრძნება არა აქვს, სწრაფი ბრუნვის შედეგად გამოწვეული კბილის გაცხელება ისპობა ამავე ბორმანქანაზე მოწყობილი ცივი წყლის ან ცივი ჰაერის მუდმივი ნაკადით. ასე რომ კბილის დამუშავების დროს ტკივილების მოცილება სავსებით შესაძლებელია.

კბილის ამოღების ტექნიკა კი ახლა იმდენად არის განვითარებული, რომ ავადმყოფს აბსოლუტურად არა აქვს ტკივილის შეგრძნება.

ზოგიერთს შიშის გრძნობა აქვს მოსახსნელი პროთეზის შეგუებისადმი. კარგად გაკეთებული პროთეზის შეგუება, მიუხედავად მცირე სიძნელისა, ყველა შემთხვევაში შესაძლებელია. მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება ე. წ. ბიგელური, ანუ უსასო პროთეზები, რომლებიც ფირფიტოვანი პროთეზებისაგან განსხვავებით, მცირე საპროთეზო არეს იკავებს, სასა თითქმის მთლიანად დაუფარავია, პირში უცხო სხეულის შეგრძნება ისპობა, მეტყველება და გემოვნება სავსებით შენარჩუნებულია. ღეჭვის ფუნქცია თითქმის მაქსიმუმამდეა აღდგენილი, ფირფიტოვან პროთეზებში საღეჭი ძალის 30-40 პროცენტს უდრის, ბიგელურში კი 70-90 პროცენტს.

მკურნალობის თანამედროვე საშუალებები პროცედურებს ძლიერ ამცირებს. მაგალითად, თუ წინათ კბილის სამკურნალოდ საჭირო იყო 5-6 და მეტი სეანსი, ახლა კბილებს ერთ-ორ სეანსში ვმკურნალობთ.

ცნობილია, რომ კბილები მოუვლელობისას იფარება ნადებით. თუ ეს ნადები დროდადრო არ მოსცილდა, კბილები იცვლის ფერს და წარმოქმნის სქელ, მკვრივ ფენას, რომელიც ცნობილია კბილის ქვის სახელწოდებით. კბილის ქვა შედგება მინერალური მარილებისა და ბაქტერიებისაგან. იგი აზიანებს ღრძილებს და კბილის საფარ მინანქარს.

კბილების დაზიანებას იწვევს არაწესიერი კვებაც, ძალზე ცივი ან ძალზე ცხელი საკვები, ზედმეტი ტკბილეული.

კბილების დაცვის მიზნით საჭიროა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მივმართოთ კბილის ექიმს. ჯანსაღი კბილები — ეს არის ჯანსაღი კუჭი და ნაწლავები, რაც ადამიანის ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პირობაა.

**ი. კობერიძე,**
მესამე სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მთავარი ექიმი.

## ჯანმრთელობის საწინდარი

**ორგანიზმის** გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა შორის პირის ღრუს მოვლას განსაკუთრებული ადგილი უკავია.

დაშლილი კბილები და ჩარჩენილი კბილის ფესვები ინფექციის გავრცელების კერაა, აქედან ხდება ორგანიზმის მწვავე ან ქრონიკული მოწამვლა. ინფექციის კერად ითვლება აგრეთვე ღრძილების დაავადება, ალვეოლური პიორეის სახელწოდებით ცნობილი, რომლის დროს დღეღამის განმავლობაში ადამიანი მისდაუნებლიეთ ულაპავს 30-40 პროცენტ ჩირქს.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ქრონიკული გაღიზიანება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაშლილი კბილების მახვილი კიდეებით, ხელს უწყობს ქრონიკული წყლულების განვითარებას, რაც ხშირად კიბოს წინარე დაავადებად ითვლება. კიბოს წინარე დაავადებად ითვლება აგრეთვე ლეიკოპლაკია, რომელიც ხშირად თამბაქოს გადაჭარბებით მწეველებს უჩნდებათ. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა პირადი ჰიგიენის დაცვა, პირის ღრუს ყოველ ექვს თვეში ერთხელ გასუფთავება.

საჭმლის ნაწილაკები არ უნდა ჩარჩეს კბილებს შორის და ლორწოვანი გარსის ნაოჭებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლორწოვან გარსზე არსებულ ქრონიკულ წყლულებს, რათა არ მოხდეს მათი ავთვისებიანად გადაგვარება.

პირის ღრუს ადრიდანვე მოვლის მიზნით ბავშვთა სტომატოლოგიური პოლიკლინიკები და კაბინეტები ორგანიზაციულ მუშაობას იწყებენ საბავშვო ბაღებში და სკოლებში.

სხვა სტომატოლოგიურ კაბინეტებთან ერთად შექმნილია ისეთი კაბინეტებიც, სადაც ყბებისა და კბილების სიმახინჯეს მკურნალობენ, რომ ადამიანი იყოს ჯანმრთელი როგორც ფიზიკურად, ისე ფიზიოლოგიურად.

**ნ. ბაძოშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

**სოციალისტური სახელმწიფო ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც კისრულობს ზრუნვას მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განუწყვეტელი გაუმჯობესებისათვის. ამას უზრუნველყოფს სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო ღონისძიებათა სისტემა. განხორციელდება ღონისძიებათა ფართო პროგრამა, რომლის მიზანია ავადმყოფობათა თავიდან აცილება და გადაჭრით შემცირება, მასობრივ ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაცია, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემდგომი ზრდა.**

სკკპ პროგრამა

## ესეც ხომ სილამაზეა

**ადამიანის** უმთავრეს სიმდიდრეს ჯანმრთელობა წარმოადგენს, მაგრამ პრაქტიკულად ჩვენ ამ სიმდიდრის ფასს მაშინ ვიგებთ, როცა გვინდა შევინარჩუნოთ, როცა ავად ვხდებით. ძალიან იშვიათია, რომ ჯანმრთელი ადამიანი მიმართავდეს ექიმს, თუ როგორ დაიცვას თავი ამა თუ იმ დაავადებისაგან ანდა ნაადრევი მოხუცებულობისაგან.

მსგავსად ამისა ბევრი ჩვენგანი მხოლოდ მაშინ დაიწყებს ფიქრს იმაზე, თუ როგორ შეინარჩუნოს კანისა და თმის ბუნებრივი ფერი, როცა სახეზე შეატყობს ნაოჭებს და კანის სხვა დეფექტებს. ხომ ცნობილია, რომ უფრო ადვილია ავადმყოფობისაგან თავის დაცვა, ვიდრე ავადმყოფობის მკურნალობა.

უფრო ადვილია შევინარჩუნოთ კანის სისალე, ვიდრე დაგვიანებით ვებრძოლოთ მისი სიბერის ნიშნებს.

კანის ფუნქცია რთულია. იგი მგრძნობელობის ორგანოა, იცავს ორგანიზმს მექანიკური, ბიოლოგიური და სხვა ზეგავლენისაგან, გამომყოფი ორგანოა, ორგანიზმში სითბოს რეგულატორია. მნიშვნელოვან როლს ასრულებს სუნთქვაში (აირთა ცვლაში) და აქტიურ მონაწილეობას იღებს ნივთიერებათა ცვლაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცების ყველა საშუალება, შრომისა და დასვენების სწორი რეჟიმი, ნორმალური კვება, მზის, ჰაერის, წყლის ფართოდ გამოყენება, აგრეთვე მედიკამენტოზური საშუალებების ზომიერი ხმარება ხელს უწყობს კანის (კერძოდ სახის კანის) სილამაზის შენარჩუნებას.

გამოჩენილი რუსი მწერლის და ექიმის ანტონ ჩეხოვის თქმით „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს: სახეც, ტანსაცმელიც, სულიცა და აზრიც".

დიდ ზომიერებას მოითხოვს კოსმეტიკური ნორმების დაცვა. ზედმეტი, გადაჭარბებული არაფერი არვარგა და მათ შორის კოსმეტიკაც.

**ექიმი მ. მაჩაბელი.**

## სასიცოცხლო საქმე

**კაცი** რომ კარგად დაუკვირდეს, ჰიგიენა და დღის რეჟიმი შრომითი საქმიანობის თვალსაჩინო საწინდარია.

მე ცვლით სამუშაო მაქვს და ამიტომ დღის რეჟიმიც საქმიანობის მიხედვით მაქვს დაგეგმილი.

დღის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ პირად და სამუშაო ადგილის ჰიგიენას, დაზგების პროფილაქტიკას, შრომის განაწილებას, შესვენებას, სამუშაოს დასასრულს შხაპის მიღებას.

ჩვენს საწარმოში ჰიგიენის და დღის რეჟიმის მტკიცედ დაცვაზე მკაცრი კონტროლი გვაქვს დაწესებული.

ხშირად მივმართავთ ექიმს, წითელი ჯვრის ორგანიზაციებს, ვატარებთ საუბრებს პირადი ჰიგიენის სხვადასხვა საკითხზე.

ჰიგიენა ჯანმრთელობის წყაროა, ჯანმრთელობა კი შრომითი წარმატების სათავე. ასე რომ ჰიგიენის და დღის რეჟიმის დაცვის აუცილებლობა ყველამ უნდა შეიგნოს და ყოველდღიურ ცხოვრებაში მტკიცედ დანერგოს და დაამკვიდროს.

**ეთერ სოლომონია,**
სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მქსოველი.

კომუნისტი სპორტი

## მ. ბოტვინიკი — ჩვენი სტუმარი

**ჩვენი** სასურველი სტუმრების — ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის მიხეილ ბოტვინიკისა და გროსმაისტერ სალო ფლორის ლექციებმა, რაც 7 სექტემბერს შედგა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ჭადრაკის მოყვარულთა საერთო მოწონება დაიმსახურა.

დარბაზი ვერ იტევდა ყველა მსურველს. ლექცია საჭადრაკო სამყაროს მრავალ მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა. კერძოდ მსოფლიოს ჩემპიონი შეეხო მიმდინარე წლის ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიც იყო ჩვენი ქვეყნის XXVIII ჩემპიონატი.

ჩამოსვლის მეორე დღეს და გუშინაც მ. ბოტვინიკი ეცნობოდა თბილისის და ჩვენი რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობებს. ჩემპიონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯვარის მონასტერმა, სვეტიცხოვლის ტაძარმა. იგი სტუმრად იყო მცხეთაში ცნობილ მეყვავილე მამულაშვილთან, ეწვია დილმის საბჭოთა მეურნეობას, „ზარია ვოსტოკის" რედაქციას.

გუშინ მ. ბოტვინიკი და ს. ფლორი მაყურებელთა წინაშე გამოვიდნენ ტელევიზიით.

დღეს ჩვენი სტუმრები რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მიუსხდებიან საჭადრაკო მაგიდებს. მსოფლიოს ჩემპიონი საათით ითამაშებს 8 დაფაზე. გროსმაისტერი ს. ფლორი ერთდროული თამაშის სეანსს გამართავს 30 დაფაზე.

## ჯ. ცერცვაძე — მატჩის გმირი

**ხელბურთი** ჩვენში სპორტის პოპულარული სახეობა გახდა. ამიტომ მსოფლიოში ცნობილ დანიის ნაკრებ გუნდებთან შეხვედრებს თბილისში დიდი ინტერესით მოელოდნენ.

აი ეს შეხვედრებიც.

ქალთა გუნდების 7 სექტემბრის ასპარეზობა გამოირჩეოდა შეუპოვრობით, ტემპიანი ბრძოლით და დამთავრდა საქართველოს ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

კიდევ უფრო მიმზიდველი გამოდგა ვაჟთა გუნდების შეხვედრა. პირველი ტაიმის შედეგი იყო 10:8 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. მეორე ნახევარში საქართველოს ხელბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ ხვდათ ანგარიშით 20:13.

მატჩის გმირი იყო ჯ. ცერცვაძე, რომელმაც მოწინააღმდეგის კარში 12 ბურთი გაიტანა.

გუშინ შედგა მორიგი შეხვედრები. დანიელმა ხელბურთელმა ქალებმა დაამარცხეს ჩვენი გუნდი ანგარიშით 5:1, ხოლო ვაჟთა გუნდების შეჯიბრება კვლავ საქართველოს ხელბურთელთა გამარჯვებით (20:13) დამთავრდა.

## კიდევ ერთი ქულა

**საკავშირო** ჩემპიონატის ლიდერმა — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა მორიგი ასპარეზობა გამართა კიევში ადგილობრივი სკა-ის წინააღმდეგ, გაიმარჯვა ანგარიშით 73:43 და გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა.

რედაქტორი
**დ. მეძღლიშვილი.**

9 სექტემბერი



**თეატრები:** რუსთაველის სახელობის — ქართლის ჩიტაღდნები, მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (სეზონის გახსნა), გრიბოედოვის სახელობის — აფროდიტეს კუნძული, ფილარმონიის საზაფხულო — პოლონეთის ესტრადის მსახიობთა გასტროლები.

**ტელევიზია:** 18.00—გადაცემა მოსწავლეთათვის — პიონერული ახალი ამბები, 18.15 — კინოჟურნალი, 18.25 — გადაცემა — „ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაული", 18.55 — გადაცემა — „ახალი თეატრალური სეზონი დაიწყო", 19.30 — სპორტული გადაცემა. შესვენების დროს ახალი ამბები. სპორტული გადაცემის შემდეგ მხატვრული ფილმი — „იქ, სადაც ასფალტი მთავრდება".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3-80-84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3-16-90, წერილების—3-73-24, ილუსტრაციის—3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 05655 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.